პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 46-ე წელი. № 164 (13249) | ოთხშაბათი, 14 ივლისი, 1965 წ. | ფასი 2 კაპ.

შრომითი პატაკები

თბილისის მაუდ-კამოლის კომბინატის „საბჭოთა საქართველოს“ კოლექტივმა შვიდწლედის დამამთავრებელი წლის ექვსი თვის საწარმოო დავალება დიდი გადაჭარბებით შეასრულა, გეგმის გადამეტებით რამდენიმე ათეული ათასი მანეთის პროდუქცია გამოუშვა. მომხმარებელმა დამატებით მიიღო შალისა და ნახევრად შალის ქსოვილისათვის 20 ტონა ნართი და 27 ათასი მეტრი ხამი ქსოვილი.

თბილისის ქაღალდის ფაბრიკის კოლექტივმა საერთო პროდუქციის გამოშვების ექვსი თვის გეგმის გადამეტებით 31 ტონა ქაღალდი და 43 ტონა მუყაო გამოუშვა.

ბათუმი. საავეჯო ფაბრიკამ ექვს თვეში საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმის გადამეტებით 34.000 მანეთის პროდუქცია გაუგზავნა მომხმარებელს.

ქოგულეთი. ბამბეულის საქსოვი ფაბრიკის კოლექტივმა კიდევ ერთი წარმატება მოიპოვა — შვიდწლედის დამამთავრებელი წლის პირველი ნახევრის საწარმოო დავალება 105,6 პროცენტით გაანაღდა და მომხმარებელს დამატებით 14 ათასი მანეთის პროდუქცია გაუგზავნა.

მეცხოველეობის აღმავლობის მთავარი პირობა

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის გადაწყვეტილებებმა დასახეს სოფლის მეურნეობის ყველა დარგის შემდგომი განვითარების ნათელი გზები. ეკონომიური ღონისძიებანი, რომლებიც პარტიამ შეიმუშავა, ქმნიან ხელსაყრელ პირობებს იმისათვის, რომ თვითეულმა კოლმეურნეობამ და საბჭოთა მეურნეობამ აწარმოოს რაც შეიძლება მეტი პროდუქცია, გადააქციოს მეცხოველეობა სოფლის მეურნეობის რენტაბელურ, მაღალპროდუქტიულ დარგად. ამას ხელს უწყობს ის, რომ დადგენილია მეცხოველეობის განვითარებისა და მისი პროდუქტების შესყიდვის მტკიცე გეგმები რამდენიმე წლისათვის, აგრეთვე გაიზარდა დასამზადებელი ფასები.

მეცხოველეობის აღმავლობის მთავარი პირობაა პირუტყვის — ძროხის, ცხვრის, თხის, ღორის სადგამი სულადობის ხარისხობრივი და რაოდენობრივი ზრდა. უამისოდ შეუძლებელია ხორცის, რძის, მატყლის წარმოების შემდგომი გადიდება. იქ, სადაც საქმიანად, სახელმწიფოს წინაშე თავიანთი მოვალეობის შეგნებით მოკიდეს ხელი მეცხოველეობის განვითარების დავალებათა შესრულებას, მიაღწიეს პირველ წარმატებებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესრულებაში. რესპუბლიკამ შეასრულა მეცხოველეობის პროდუქტების დამზადების ნახევარი წლის გეგმა. ბევრმა რაიონმა გასული წლის პირველ ნახევართან შედარებით გაზარდა ძროხის სულადობა. ასეთია, მაგალითად, სიღნაღის, წალკის, წითელწყაროს, დმანისის, თეთრიწყაროს, ლაგოდეხის, ხაშურის, ქარელის, კასპის, მახარაძის, სამტრედიის, ვანის, აბაშისა და სხვა რაიონები, აგრეთვე აჭარის ასსრ.

ამასთან ზოგიერთი რაიონი ნელა ზრდის საზოგადოებრივი ჯოგის სადგამ ფაფალიანობა. გასული წლის პირველ ნახევართან შედარებით თვალი აქვს დარგებიდან ძროხის, ცხვრის, ბოგდანოვკის, ახალციხის, გორის, ბორჯომის, საგარეჯოს, თელავის, ახმეტის, ყვარლის, ბოლნისის რაიონების, აფხაზეთის ასს რესპუბლიკისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ფერმებში.

გამოზამთრების მძიმე პირობების მიუხედავად, შარშანდელთან შედარებით დოლის კამპანიამ მთლიანად დამაკმაყოფილებლად ჩაიარა. 1965 წლის 1 ივნისისათვის გასული წლის ამავე თარიღთან შედარებით ყოველ ას ნერბზე მიიღეს 5 ბატკნით მეტი. მაგრამ მთელი რიგი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ფერმები ნელი ტემპით იზრდება. უფრო მეტიც, მთელ რიგ რაიონებში გასულ წელთან შედარებით შემცირდა ცხვრისა და თხის სულადობა. ასეთია, მაგალითად, ახალქალაქის, ახალციხის, ქარელის, კასპის, ბორჯომის, ყვარლის, ლაგოდეხის, მარნეულის, ბოლნისის, დუშეთის, წალკის, ყაზბეგისა და სხვა რაიონების, აგრეთვე სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მეურნეობები.

კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების, სოფლის მეურნეობის რაიონული საწარმოო სამმართველოების ხელმძღვანელები მოვალენი არიან მეცხოველეობის მტკიცე საკვები ბაზის შექმნასთან და პირუტყვის მოვლა-პატრონობის გაუმჯობესებასთან ერთად განახორციელონ ყველა ღონისძიება, რათა შეასრულონ ყველა სახეობის პირუტყვის სადგამი სულადობის ზრდის სახელმწიფო გეგმა და მიაღწიონ პირუტყვის პროდუქტიულობის მკვეთრ გადიდებას. (საქდესი).

ი დ ე ო ლ ო გ ი ა — ჩ ვ ე ნ ი კ ა დ რ ე ბ ი ს ძ ა ლ ა

ადამიანი საზოგადოებაში ფასდება თავისი აქტიური როლის მიხედვით, მისი წილით საზოგადოებრივად სასარგებლო შრომაში. და ყველაზე მეტი წარმატება სწორედ მას აქვს, ვინც იდეურად დარწმუნებულია თავისი საქმის სიმართლეში. ძალა ერთგანზომილებიანი ძალა ვერ შეაჩერებს და ერთგანზომილებიანი ძალა ვერ გადაახვევინებს თავისი გზიდან. მაგრამ თუ ადამიანს არა აქვს იდეური რწმენა, ასეთი ადამიანი ყოველთვის ცხოვრობს ამინდის მიხედვით, თუ საით ქრის ქარი. იგი ყველაფერს ეგუება, ხდება ნიჰილისტი და ფიქრობს მხოლოდ პირად ინტერესზე და არა საზოგადოებრივზე, ამიტომაც ჩვენი პარტია უდიდეს ყურადღებას აქცევს თავის წევრებს, კანდიდატებს, კომკავშირელებს და უპარტიო აქტივს შორის იდეურ-აღმზრდელობითს მუშაობას.

ცხადია, იდეური რწმენა პარტიის იდეებისა და პოლიტიკის წიგნური ცოდნით არ ამოიწურება. ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, რომ საკმარისი არ არის მარტოოდენ თეორიული ფორმულების შესწავლა, მარქსიზმის ჭეშმარიტებათა დაზეპირება. საჭიროა გამოვიმუშაოთ უნარი, რომ თეორია დავუკავშიროთ პრაქტიკას. იდეურობა, შინაგანი მტკიცე რწმენა ნიშნავს ნათლად გვესმოდეს საზოგადოებრივი მოვალეობა, ნიშნავს აქტიურ ბრძოლას პარტიის პოლიტიკის განხორციელებისათვის. იმისათვის მზადყოფნას, რომ შეძენილი ცოდნა გამოვიყენოთ კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკულ ამოცანათა გადასაჭრელად.

საქართველოს პარტიული ორგანიზაცია მდიდარია შესანიშნავი მაღალიდეური კადრებით, რომლებიც წარმატებით წყვეტენ მათ წინაშე მდგომ სამეურნეო და პოლიტიკურ ამოცანებს. ისინი მრავლად არიან ჩვენს კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, სამრეწველო საწარმოებში, სამეცნიერო დაწესებულებებში, პარტიულ, საბჭოთა, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებში.

მაგრამ არ შეიძლება იმის თქმაც, რომ რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ყოველ უბანზე მაღალიდეური კადრების მხრივ უველგან კარგი მდგომარეობა გვქონდეს. რა თქმა უნდა, არა! სამწუხაროდ, ჩვენში ჯერ კიდევ არიან ადამიანები, ობივატელები, რომლებიც პირველ რიგში აყენებენ ზრუნვას მხოლოდ თავისთვის, თავიანთი მდგომარეობისათვის.

ამ რამდენიმე თვის წინათ პარტიის ლენინურთის რაიკომმა პარტიიდან გარიცხა ვ. აბშილავა. მან ღრმაღელის კოლმეურნეობის პარტიული ორგანიზაციის მდივნად მუშაობის დროს ყალბი დოკუმენტების შედგენით მიითვისა კოლმეურნეთა ფულადი თანხები (!). ასევე თბილისის ორგანიზაციის პარტიის პირველი მაისის რაიკომმა პარტიიდან გარიცხა ი. ეგიაზაროვი. იგი მუშაობდა „საქსოფლტექნიკის“ სპეციალიზებულ მაღაზიაში სექციის გამგედ. კომუნისტებმა მას ნდობა გამოუცხადეს და მდივნად აირჩიეს. იმის ნაცვლად, რომ საზოგადოებრივი დოვლათის დაცვის მაგალითი ყოფილიყო, თვითონ დაიწყო დატაცება. მან ყალბი დოკუმენტებით მიითვისა 6.845 მანეთი, ხოლო უკანონოდ ჩამოწერილი დეფიციტური მანქანის ნაწილების ღირებულებამ 17.920 მანეთი შეადგინა.

უიდეობა ხშირად თავს იჩენს არა მარტო მუშაობაში, არამედ ყოფაცხოვრებაშიც. ზოგჯერ პარტიული ორგანიზაციები ლიბერალურად ეკიდებიან იმ ფაქტებს, რომ კომუნისტები, პარტიული და საბჭოთა მუშაკები არღვევენ კომუნისტური მორალის მოთხოვნებს და სოციალისტური საერთო ცხოვრების ნორმებს იმ საფუძველზე, რომ საერთოდ ისინი ცუდად არ ასრულებენ თავიანთ სამსახურებრივ მოვალეობებს. ამან შეიძლება ხელოვნად ზიანი მიაყენოს კადრების აღზრდის საქმეს. კომუნისტისათვის წარმოუდგენელია, რომ საზოგადოებრივი საქმიანობა და პირადი ცხოვრება არ ეთანხმებოდეს ერთმანეთს.

პარტიული ორგანიზაციების უპირველესი ამოცანა ის არის, რომ მუდამ აუმჯობესებდნენ კადრებთან მუშაობას, კადრების შერჩევას საფუძვლად დაუდონ პოლიტიკური და საქმიანი ნიშანი. უნდა უკუვაგდოთ ეგრეთწოდებული „კაი ბიჭის“ ცნება, როგორც ცრუ და ყალბი. საჭიროა ყოველ რგოლში შეეკმნათ მომთხოვნელობის და ნაკლოვანებებისადმი შეურიგებლობის ვითარება, განვავითაროთ კრიტიკა და თვითკრიტიკა, დავიცვათ კომუნისტის წოდების სიწმინდე. პარტია კომუნისტებისაგან მოითხოვს, რომ ისინი იყვნენ პრინციპული, პატიოსანი ადამიანები.

პარტიული მუშაკს, რომელიც მოწოდებულია მიმართულება მისცეს ყველა დარგის კადრების მუშაობას, უნდა ჰქონდეს ღრმა ცოდნა, ფართო პოლიტიკური მსოფლმხედველობა. მაგრამ მიმართულების მიცემა სრულებითაც არ ნიშნავს მეურვეობას და თვითმნზნურ ჩარევას, რომ ვინმეს თავი მოვაჩვენოთ ყველაფრის მცოდნედ და გამოვიდეთ ძალიან ტანტების როლში. თითქოს მარტო „ჩვენ“ გვეკუთვნის ყველაფერში კომპეტენტური სიტყვა. მივალთ კოლმეურნეობაში — და მემინდვრე აგრონომზე უკეთ ვიცით თესლი, მისი კონდიციამდე აყვანა, ხვნა, თესვა, ჩაის კრეფის აგროტექნიკა; მივალთ ფერმაში — და ზოოტექნიკაზე უკეთ ვიცით მეცხოველეობა, აქეთ ვენახი, იქით მშენებლობის დუღაბი, იქ კომბაინი და ა. შ.

ცხადია, არავინ არ უარყოფს ხელმძღვანელისათვის სახალხო მეურნეობის ცალეული დარგების ცოდნის საჭიროებას. ეს ნამდვილად საჭიროა. მაგრამ ყველაზე მთავარი, რაც ხელმძღვანელს მოეთხოვება, ის არის, რომ **ყველაზე კარგად ფლობდეს მასების პოლიტიკური ორგანიზატორის ცოდნასა და ხელოვნებას.** ეს ხელოვნება კი მხოლოდ პრაქტიკაში შეიძინება. იპოვნო მასების გულის გასაღები, სჯეროდეთ მათ შენი, ამას წიგნებში ვერ იპოვნით. ეს თვისება ყველას ინდივიდუალურად აქვს. ხალხს მახვილი ყური და ფხიზელი თვალი აქვს. მას ვერფერს გამოაპარებ. ამიტომ, თუ გვინდა მასებს სჯეროდეთ ჩვენი — დავცვათ სიტყვისა და საქმის ერთიანობა, ვიყოთ უშუალოდ მასებთან არა მარტო საწარმოში, არამედ ყოფაცხოვრებაშიც.

ვიყოთ არა მარტო კარგი პრაქტიკოსი, რომელსაც აქვს შესაბამისი კვალიფიკაცია, არამედ ისეთიც, რომელიც ხედავს პარტიისა და სახელმწიფოს პერსპექტივებს, შეუძლია განჭვრიტოს მომავალი, მტკიცედ ახორციელებს მასების ხელმძღვანელობას, შთაგონებს მათ ჩვენი საერთო საქმის გამარჯვების რწმენას, — ასეთია ნამდვილი ხელმძღვანელის, კომუნისტის სახე.

კადრებთან მუშაობა უფრო ფართოდ უნდა გაიშალოს, უფრო მაღალ დონეზე უნდა ავიდეს. პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციებმა, პარტიის რაიკომებმა, საქალაქო და საოლქო კომიტეტებმა თავიანთი კადრებისაგან მტკიცედ უნდა მოითხოვონ მარქსისტულ-ლენინური თეორიის ბეჯითად შესწავლა.

ᲛᲔᲪᲮᲝᲕᲔᲚᲔᲝᲑᲘᲡ ᲐᲦᲛᲐᲕᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲞᲘᲠᲝᲑᲐ

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲙᲐᲓᲠᲔᲑᲘᲡ ᲫᲐᲚᲐ

მეცხოვრებები ლენინგრადში

ლენინგრადი, 12 ივლისი. (საქდესი). დღეს სმოლნში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ლ. ი. ბრეჟნევი ესაუბრა ლენინგრადისა და ლენინგრადის ოლქის პარტიულ და სამეურნეო აქტივს. საუბარს დაესწრნენ პარტიის ლენინგრადის საოლქო და საქალაქო კომიტეტების ბიუროთა წევრები, სკკპ ლენინგრადისა და ლენინგრადის ოლქის საქალაქო კომიტეტებისა და რაიკომების მდივნები, პარტიის საოლქო კომიტეტისა და საქალაქო კომიტეტის განყოფილებათა გამგეები და განყოფილებათა გამგის მოადგილეები, ლენინგრადის მშრომელთა დეპუტატების საოლქო და საქალაქო საბჭოების აღმასკომთა, სრულიად საკავშირო ალკკ საოლქო და საქალაქო კომიტეტების, ლენინგრადის სახალხო მეურნეობის საბჭოს ხელმძღვანელი მუშაკები, აგრეთვე ქალაქის საწარმოო გაერთიანებათა, მსხვილ საწარმოთა და სამშენებლო ორგანიზაციათა ხელმძღვანელები.

საუბრის დროს ლ. ი. ბრეჟნევმა ილაპარაკა იმაზე, თუ რა ამოცანები აქვთ დასახული პარტიულ, სამეურნეო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის, როგორ მუშავდება მომავალი ხუთწლედის სახალხო-სამეურნეო გეგმის პროექტი, შეეხო პარტიულ ორგანიზაციათა მუშაობის შემდგომ გაუმჯობესებასთან დაკავშირებულ საკითხებს.

სალმოს ლ. ი. ბრეჟნევი, დ. თ. უსტინოვი, ლ. ვ. სმირნოვი ეწვიენენ ლენინგრადის ოპტიკურ-მექანიკურ საწარმოთა გაერთიანებას.

გაერთიანების დირექტორმა მ. პ. პანფილოვმა სტუმრებს უამბო იმაზე, თუ როგორ მუშაობს საწარმო, როგორ იბრძვის მისი კოლექტივი იმისათვის, რომ შექმნას სხვადასხვა ოპტიკურ-მექანიკური ხელსაწყო საუკეთესო მსოფლიო სტანდარტების დონეზე. მიმდინარე წლის მარტო ხუთ თვეში ამ ფირმამ დაამზადა რამდენიმე ათეული ახალი ნიმუშის პროდუქცია.

ლ. ი. ბრეჟნევი და მისი თანმხლები ამხანაგები იყვნენ გაერთიანების საამქროებში, გაეცნენ წარმოების ორგანიზაციას, კინოაპარატურის გამოშვებას, ესაუბრნენ მუშებს, ინჟინრებსა და ტექნიკოსებს.

ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

ლ. მესხიშვილის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო დრამატული თეატრის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

1965 წელს ქ. თბილისში გასტროლების წარმატებით ჩატარებისათვის ლ. მესხიშვილის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო დრამატული თეატრი დაჯილდოდეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაშაძე.

თბილისი, 1965 წლის 13 ივლისი.

ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

აბხ. შ. ი. ხაჯალიასათვის საქართველოს სსრ სახალხო არტისტის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ძართული საბჭოთა თეატრალური ხელოვნების დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის, ლ. მესხიშვილის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობს ზოთა ივანეს-ძე ხაჯალიას მიენიჭოს საქართველოს სსრ სახალხო არტისტის საპატიო წოდება.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაშაძე.

თბილისი, 1965 წლის 13 ივლისი.

ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚ ᲛᲔᲤᲝᲚᲐᲓᲔᲗᲐ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲐ

კიდევ ერთი შესანიშნავი ფურცელი ჩაიწერა რუსთაველ მეტალურგთა ცხოვრების მატიანეში. ამ დღეებში მეფოლადეებმა და მებრძმედებმა შვიდწლედის საკონტროლო ციფრებით გათვალისწინებული ფოლადისა და თუჯის გამოშვების გეგმა წარმატებით შეასრულეს.

ეს ცნობა ელვის სისწრაფით მოედო მთელ ქარხანას.

ფოლადისა და თუჯის ოსტატებს წარმატებას ულოცავდნენ მგლოსნები, მილმგლინავები და მეკოქსეები, ქიმიკოსები და მშენებლები.

მეტალურგთა შრომის ამ ბრწყინვალე შედეგებზე ქარხნის პარტიული კომიტეტის მდივანმა ლ. ხარბედიამ საუბარში თქვა:

—ფოლადისა და თუჯის დნობის ოსტატებმა ღირსეულად შეასრულეს თავიანთი დანაპირები. ახლა ისინი 1966 წლის ანგარიშში მუშაობენ. ამ დღეებში მათ გვერდში ამოუდგებიან ქარხნის სხვა საამქროთა კოლექტივებიც. ახლახან ქარხნის ეკონომისტებმა შვიდწლედის განვლილი პერიოდის მუშაობის შედეგები შეაჯამეს, და აღმოაჩინდა, რომ ქარხნის კოლექტივმა რამდენიმე მილიონი მანეთით მეტი ღირებულ ე ბ ი ს პროდუქცია გამოუშვა, ვიდრე ეს შვიდწლედის საკონტროლო ციფრებით იყო გათვალისწინებული. ეს ჩვენი ქარხნის მრავალთასიანი კოლექტივის უდავოდ დიდი წარმატებაა.

შვიდწლედი ექვს წელიწადსა და ექვს თვეში მეტალურგთა ენერგიული შრომის შედეგია, რაც განაპირობა ტექნიკურმა პროგრესმა. განხორციელდა ყველა ფოლადსადნობი ღუმელის რეკონსტრუქცია, გადიდდა ფოლადსადნობი აბაზანები, აგრეგატები გადაყვანილ იქნა მძიმე წონის ნადნობებზე, ბრძმედის ღუმელები კი მაღალი წნევით მუშაობაზე, ავტომატიზებულ იქნა საგლინავი დგანი „400“ და ნახშირმომზადების განყოფილება კოქს-ქიმიურ საამქროში. მთელ რიგ საამქროებში დაინერგა ახალი ტექნიკა და ტექნოლოგია.

შრომის მოწინავე მეთოდების გამოყენებამ და გამოცდილების ფართოდ დანერგვამ კოლექტივს შესაძლებლობა მისცა ექვსი თვით ადრე დაეძლია შვიდწლედის ზღუდე.

რ. ზაქარაია.

ᲛᲘᲜᲓᲕᲠᲔᲑᲡᲐ ᲓᲐ ᲞᲚᲐᲜᲢᲐᲪᲘᲔᲑᲨᲘ

თელეთის საბჭოთა მეურნეობაში (გარდაბნის რაიონი) პურეულის მოსავლის აღება დასასრულს უახლოვდება. კომბაინერთა სოციალისტურ შეჯიბრებაში თავი ისახელა **გიორგი ჯაბალაშვილმა**, რომელიც ყოველდღიურად მკის 10-12 ჰექტარს ნაცვლად 8 ჰექტარისა. ეს **სურათი** (მარცხნივ) მაშინ გადაიღო ფოტოკორესპონდენტმა, როცა კომბაინერმა უკანასკნელად შემოუარა ნაკვეთს და მომკილი აღმოჩნდა 12 ჰექტარი.

• • •

სურათზე მარჯვნივ აღბეჭდილია შეტეხილი თამბაქოს შრობის ხარისხის შემოწმება ბებრის რაიონის ხეივნის კოლმეურნეობის პირველ ბრიგადაში. ხარისხს ამოწმებს ბრიგადირი, ორგზის სოციალისტური შრომის გმირი პ. სვანიძე (მარჯვნივ) აგრონომ **ბ. ხუციშვილთან** ერთად.

ფოტო ვ. ჩერკასოვისა და გ. ალპერტისა.

ᲛᲝᲓᲘᲡ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲛᲝᲡᲐᲕᲐᲚᲘ

ᲰᲔᲥᲢᲐᲠᲖᲔ 32 ᲪᲔᲜᲢᲜᲔᲠᲘ ᲮᲝᲠᲑᲐᲚᲘ

ᲒᲣᲠᲯᲐᲐᲜᲘ. (საკ. კორ.). ჩუმლაყის ქალინინის სახელობის კოლმეურნეობაში დღითიდღე ძლიერდება მოსავლის აღების ტემპი. კომბაინერები ს. და გ. ქართლელიშვილები, თ. ომარაშვილი და დ. ბერიაშვილი მკის დღიურ დავალებას გადამეტებით ასრულებენ.

ჩუმლაყელები მოსავლის სიუხვეით ხარობენ. კომბაინერმა ს. ქართლელიშვილმა „ვეფხვიანში“ 40 ჰექტარი მომკა, საშუალოდ ჰექტარზე 30 ცენტნერი ხორბალი გალეწა. ამავე ნაკვეთში საცდელად დათესილი „თბილისური-5“ ჰექტარზე 32 ცენტნერს იძლევა. ამ ჯიშის ხორბალს შემოდგომაზე უფრო მეტ ფართობზე დათესავენ.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ ᲛᲮᲕᲔᲚᲘ - ᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲛᲙᲘᲚᲔᲑᲘ ᲙᲐᲠᲒᲐᲓ ᲛᲝᲣᲐᲠᲘᲡ ᲨᲔᲛᲝᲓᲒᲝᲛᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲓᲠᲔ ᲒᲐᲖᲐᲤᲮᲣᲚᲘᲡ ᲜᲐᲗᲔᲡᲘᲚᲔᲑᲘ ᲐᲠᲬᲛᲣᲜᲔᲑᲓᲐ, ᲛᲝᲡᲐᲕᲚᲘᲡ ᲣᲙᲐᲜᲐᲡᲙᲜᲔᲚᲘ ᲓᲦᲔᲔᲑᲘ ᲗᲐᲕᲘᲡᲐᲜᲘ ᲛᲐᲠᲪᲕᲚᲘᲡ ᲞᲠᲝᲪᲔᲜᲢᲘᲗ ᲐᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲪᲘᲐᲗᲐ ᲨᲔᲡᲧᲘᲓᲕᲘᲡ ᲛᲘᲖᲜᲘᲗ ᲓᲐᲛᲐᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲛᲐᲕᲐᲠᲘ.

ᲑᲐᲗᲣᲛᲘ. (ტელეფონით სპეც. კორ.). ფოთლის კრეფის სეზონის დაწყებიდან, —განაცხადა საქართველოს კომპარტიის ბათუმის რაიკომის მეორე მდივანმა ნ. ბახტაძემ, — მეჩაიეებმა კარგი ტემპი აიღეს. სწორედ ამის შედეგია ის, რომ მაისი-ივნისის გეგმა სასახელოდ შესრულდა.

ივლისში ფოთლის კრეფის ტემპი უფრო გაძლიერდა. ათ დღეში ივლისის გეგმა შესრულებულია 43,6 პროცენტით. გუშინ მოიკრიფა 100 ტონამდე ჩაის ნედლეული, ეს წინა დღით მოკრეფილზე 9 ტონით მეტია. სეზონის დაწყებიდან მოკრეფილია და ფაბრიკებს გადასამუშავებლად ჩაბარდა 5.364 ტონა ჩაის ნედლეული. ეს შარშანდელთან შედარებით 556 ტონით მეტია.

შრომა კარგად მოუწყვიათ **ჩაინსბნის** კოლმეურნეობაში. აქ გუშინ მოიკრიფა 8 ტონა „მწვანე ოქრო“ ნაცვლად 7 ტონისა. ამ მხრივ კარგად მუშაობენ **ᲬᲘᲜᲡᲕᲚᲘᲡ, ᲐᲮᲐᲚᲨᲔᲜᲘᲡ,** კოლმეურნეობები, **ᲡᲐᲚᲘᲑᲐᲣᲠᲘᲡᲐ** და **ᲐᲮᲐᲚᲨᲔᲜᲘᲡ** საბჭოთა მეურნეობები.

ᲛᲝᲡᲐᲕᲐᲚᲡ ᲙᲐᲠᲒᲘ ᲞᲘᲠᲘ ᲨᲔᲩᲐᲜᲡ

ᲩᲕᲔᲜᲘ რაიონის მხვნელ - მთესველებმა კარგად მოუარეს შემოდგომის და ადრე გაზაფხულის ნათესებს; მოსავალიც არ არის ცუდი, — განაცხადა საუბარში საქართველოს კპ ქარელის რაიკომის პირველმა მდივანმა დ. ᲓᲐᲕᲘᲗᲨᲕᲘᲚᲘᲡᲐᲛ. ახლა რაიონში მასობრივად ჩაღდება თავთავიანი მარცვლეული კულტურების აღება.

რაიონში სულ ასადებია 10.500 ჰექტარი და ქარელელებს გადაწყვეტილი აქვთ პურეულის მკა 12 სამუშაო დღეში დაამთავრონ. პირველ წარმატებას მიაღწია ᲙᲐᲕᲨᲘᲜᲐᲢᲙᲝᲪᲘᲡ სახელობის სამეურნეობამ (დირექტორი ბ. ᲑᲐᲠᲯᲐᲫᲔ). აქ მომკილია 30 ჰექტარი ქერი და საშუალოდ ჰექტარზე მიღებულია 19 ცენტნერი მარცვალი. მკაზე მაღალნაყოფიერად იმუშავეს კომბაინერმა ᲑᲘᲝᲠᲒᲘ ᲜᲘᲜᲝᲫᲐᲫᲔ და ტრაქტორისტმა ᲑᲐᲖᲠᲐᲢ ᲧᲘᲜᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ.

სოფელ ᲐᲑᲘᲡ კოლმეურნეობაში პირველის 10 ჰექტარი მომკეს და საშუალოდ ჰექტარზე მიიღეს 15 ცენტნერი მარცვალი. აქ კომბაინს შეუფერხებლად ამუშავებს კომბაინერი ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲨᲐᲠᲐᲫᲔ. ᲙᲐᲠᲔᲚᲘᲡ კოლმეურნეობაში მოსავალი აღებულია 20 ჰექტარზე და საშუალო მოსავალმა 16 ცენტნერს გადაამეტა. კომბაინერები ᲐᲚᲘᲫᲔᲡ ᲜᲐᲓᲘᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘ და ᲑᲘᲝᲠᲒᲘ ᲡᲐᲠᲩᲘᲜᲝᲕᲘ მკის ყოველდღიურ დავალებას ორი ჰექტარის გადამეტებით ასრულებენ.

ᲨᲐᲠᲨᲐᲜᲓᲔᲚ ᲛᲐᲩᲕᲔᲜᲔᲑᲔᲚᲡ ᲒᲐᲣᲡᲬᲠᲔᲡ

ᲑᲐᲗᲣᲛᲘ. (ტელეფონით სპეც. კორ.). —განაცხადა საქართველოს კომპარტიის ბათუმის რაიკომის მეორე მდივანმა ნ. ᲑᲐᲮᲢᲐᲫᲔ, — მეჩაიეებმა კარგი ტემპი აიღეს. სწორედ ამის შედეგია ის, რომ მაისი-ივნისის გეგმა სასახელოდ შესრულდა.

ივლისში ფოთლის კრეფის ტემპი უფრო გაძლიერდა. ათ დღეში ივლისის გეგმა შესრულებულია 43,6 პროცენტით. გუშინ მოიკრიფა 100 ტონამდე ჩაის ნედლეული, ეს წინა დღით მოკრეფილზე 9 ტონით მეტია. სეზონის დაწყებიდან მოკრეფილია და ფაბრიკებს გადასამუშავებლად ჩაბარდა 5.364 ტონა ჩაის ნედლეული. ეს შარშანდელთან შედარებით 556 ტონით მეტია.

შრომა კარგად მოუწყვიათ **ᲩᲐᲘᲜᲡᲑᲜᲘᲡ** კოლმეურნეობაში. აქ გუშინ მოიკრიფა 8 ტონა „მწვანე ოქრო“ ნაცვლად 7 ტონისა. ამ მხრივ კარგად მუშაობენ **ᲬᲘᲜᲡᲕᲚᲘᲡ, ᲐᲮᲐᲚᲨᲔᲜᲘᲡ,** კოლმეურნეობები, **ᲡᲐᲚᲘᲑᲐᲣᲠᲘᲡᲐ** და **ᲐᲮᲐᲚᲨᲔᲜᲘᲡ** საბჭოთა მეურნეობები.

ᲣᲮᲕᲐᲓ ᲐᲠᲘᲡ ᲡᲐᲙᲠᲔᲤᲘ ᲤᲝᲤᲝᲚᲘ

ᲩᲮᲘᲠᲝᲬᲧᲣ. 13 ივლისი. სოფლის მეურნეობის სამმართველოს მთავარმა აგრონომმა ს. ᲛᲐᲚᲐᲜᲘᲐᲛ რედაქციას აცნობა, რომ უკანასკნელ დღეებში უხვად შემოდის საკრეფი ჩაის ფოთოლი. დღითიდღე მატულობს კრეფის ტემპი. სულ რაიონში მოკრეფილია 3.900 ტონაზე მეტი ჩაის ნედლეული.

რაიონის მეჩაიეებმა 8 ივლისს მოკრიფეს 118 ტონაზე მეტი „მწვანე ოქრო“, 9 ივლისს — 130 ტონა, 12 ივლისს კი 135 ტონა. ჩაის კრეფის წლიური გეგმა შესრულებულია 52 პროცენტზე მეტით.

ჩაის ფოთლის კრეფაში წინ მიდიან ᲥᲕᲔᲓᲐ ᲩᲮᲘᲠᲝᲬᲧᲣᲡ ᲐᲮᲨᲘᲡ, ᲓᲐᲕᲐ ᲩᲮᲘᲠᲝᲬᲧᲣᲡ ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲜᲘᲡ კიროვის სახელობის კოლმეურნეობები. წარმატებით შრომობენ ლენინიანის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში. კრეფაზე მუშაობს ცხრა ჩაისსაკრეფი მანქანა.

200.000 ტონა ჩაისათვის!

ᲨᲔᲛᲣᲨᲐᲕᲔᲑᲣᲚᲘᲐ 3.533 ᲐᲗᲐᲡᲘ ᲖᲝᲜᲐᲠᲛᲔᲢᲠᲘ ᲗᲐᲛᲑᲐᲥᲝ

ᲬᲚᲘᲡ რესპუბლიკის მეთამბაქოეებმა უნდა შეტეხონ 183 მილიონი ზონარმეტრი თამბაქო. 5 ივლისისათვის შეტეხილი იყო 3.533 ათასი ზონარმეტრი, გეგმის 1,9 პროცენტი. **ᲑᲝᲚᲜᲘᲡᲘᲡ** რაიონში თამბაქოს შეტეხვის გეგმა შესრულებულია 5,7 პროცენტით, **ᲛᲐᲠᲜᲔᲣᲚᲘᲡ** — 2,4 პროცენტით, **ᲚᲐᲒᲝᲓᲔᲮᲘᲡ** — 1,4 პროცენტით, **ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲘᲡ** ასს რესპუბლიკაში — 1,5 პროცენტით, ხოლო **ᲐᲭᲐᲠᲘᲡ** ასს რესპუბლიკაში — 2,6 პროცენტით.

ᲑᲐᲠᲐᲥᲐᲚᲐ ᲗᲘᲥᲕᲔᲜ, ᲛᲔᲐᲑᲠ

მდივნის საზრუნავი

პირველადი პარტორგანიზაციის მდივნის უგის წიგნაკიდან

რაიკომის სხდომათა დარბაზში ხმაური შეწყდა. დაიწყო პარტიის რაიკომის პლენუმი.

დღის წესრიგში ერთი საკითხი იდგა — რაიონული პარტიული ორგანიზაციის ამოცანები მოსავლის აღებისათვის მზადებისა და სახელმწიფოსათვის პროდუქტების მიყიდვის დავალებათა შესრულების საქმეში.

როცა გამოცხადეს, ვისაც კამათში გამოსვლა სურს, წერილობით გვაცნობოსო, ჩემს გვერდით მჯდომი ამხანაგი შეიშმუშნა და უბის წიგნაკი ამოიღო.

სიტყვით გამოსვლაზე არ მიფიქრია, მაგრამ ერთი აზრი ამეკვიატა: ხომ შეიძლება კამათის მსვლელობისას საჭირო გახდეს ჩემი გამოსვლაც. უბის წიგნაკი მოვიმარჯვე. ვფიქრობ, სწორად ვიქცევი, როცა უბის წიგნაკში უკლებლივ ჩავინიშნავ ხოლმე როგორც შესრულებულ, ისე შესასრულებელ სამუშაოებს.

ერთხანს ჩავიკირკიტებდი ლურჯი მელნით ნაწერ სტრიქონებს. ზოგან გადახაზული რომ მქონდა, ისიც კი ამოვიკითხე. შემდეგ უბის წიგნაკი შევინახე და მომხსენებელს მივაჩერდი. გამართულად ლაპარაკობდა. მან სხვებთან ერთად ჩვენი კოლმეურნეობაც დაასახელა. წელს კარგად აქვს საქმე დიცის კოლმეურნეობასო, თქვა და ჩემსკენ გამოიხედა.

შესვენება რომ გამოცხადდა, მე ისევ ჩემს უბის წიგნაკს ჩავიკირკიტებდი. იქნებ თვითონ ვითხოვო სიტყვა? ვიტყვი, რომ გორის რაიონში სოფელი დიცი ერთ-ერთი უსამაზესი სოფელია. სამი წელია, რაც ამ სოფლის კოლმეურნეობაში პირველადი პარტორგანიზაციის მდივნად ვმუშაობ. ორგანიზაციაში 48 კომუნისტი და სამი კანდიდატია. ჩვენს სოფელს ნაკლები ყურადღება ექცევა, ჯერ კიდევ არ არის მოსაფალტებული სასოფლო გზა. მოსახრელია შიდასაუნო გზები.

მაგრამ არა, ასე არ ივარგებს. სხვა რამ უნდა მოვიფიქრო. რა იქნება, ასე დავიწყო: — ერთ-ერთი ფელოსოფოსი ამტკიცებდა, რომ სამყაროს დახასიათება წყალია. მე ახლა ვეთანხმები მას. მართლაც წყალია სიცოცხლის დედა. ჩვენი სოფლის ბაღები, ზვრები და მინდვრები ტრიფოფონს არხით იარწყვება, მაგრამ ყველგან მაინც ვერ სწვდება. ეს ამბავი უფრო მაშინ გამოაშკარავდა, როცა გვალვები დაიჭირა. ნათესების არწყვის საკითხი პარტიული ორგანიზაციის მსჯელობის საგანი გახდა. შვიდ კილომეტრზე გავწმინდეთ ძველათ გაჭრილი ამოვსებული არხი, ერთ ადგილას გზაც გადავჭერით და ბეტონის მილები ჩავწყეთ. ახლა პატარა ლიახვის წყალი მორაკრაკებს დიცის მინდვრებსა და ბაღ-ვენახებში და უკვე 300 ჰექტარ მიწას ულბობს გულს. ეს ამბავი, რა თქმა უნდა, ხელს შეგვწყობს მოსავლიანობის გადიდებაში, სასოფლო-სამეურნეო წარმოების გაფართოებაში.

ასე გავაგრძელებ სიტყვას: სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის გადაწყვეტილებებში ხაზგასმით იყო ნათქვამი პირველადი პარტიული ორგანიზაციების როლის ამაღლების შესახებ. პირველადი პარტორგანიზაციის მოღვაწეობის ერთ-ერთი მთავარი უბანია აღზარდოს იდეურად მტკიცე კომუნისტები.

ამ მიზნით მეტად სერიოზულად ვუდგებით პარტიაში მიღების საკითხს. პარტიაში შესვლის მსურველი ბევრია, მაგრამ ვარჩევთ ისეთ ამხანაგებს, რომლებიც ღირსი არიან ატარონ კომუნისტის საპატიო სახელი.

ასეთი ამხანაგები ხომ გვყავს?! მაგალითად, № 7 ბრიგადის წევრი ე. მინდიაშვილი და № 8 ბრიგადის ხელმძღვანელი გ. ყორანაშვილი. ისინი 15 ივნისს საკოლმეურნეო პარტორგანიზაციის კრებამ სკკპ წევრობად მიიღო.

ამავე კრებაზე პარტიის წევრობის კანდიდატებად მივიღეთ მეღორეობის ფერმის გამგე ს. ქოქოშვილი და კოლმეურნეობის მოთანამშრომე გულნარა მარკოზაშვილი. ს. ქოქოშვილს ორი წელია უნდოდა პარტიის რიგებში შემოსვლა. მაგრამ უარს ვეუბნებოდით, რადგან ფერმაში საქმე ცუდად ჰქონდა დაყენებული.

წელს მან უნარიანად მოაწყო გოჭების შენარჩუნება, ხორცის ჩაბარების გეგმასაც გადაჭარბა. საკოლმეურნეო ცხოვრებას აქტიური მონაწილე და კედლის გაზეთს სარედაქციო კოლეგიის წევრი გახდა.

ასე ალბათ, ვფიქრობდი, — სიტყვა გამიგრძელდება. თანაც დღეკანდელი პლენუმის დღის წესრიგი უფრო სხვაგვარად დგას. საკითხი მოსავლის აღებისათვის მზადებას და სახელმწიფოსათვის სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების მიყიდვას ეხება. კარგია, რომ ჩვენს პირველადს პარტიულ ორგანიზაციაში პლენუმამდე მივიღეთ ზომები.

ყველაფერი იქიდან დაიწყო, რომ ერთ დღეს ჩემთან მაღალი, ქერა ახალგაზრდა, № 4 ბრიგადის ხელმძღვანელი ვ. ხალიერაშვილი შემოვიდა.

საუბარი სწორედ გეგმების შესრულებას შეეხებოდა. მან მოხოვა, კარგი იქნება, თუ ბრიგადას ერთ კომუნისტს მოამაგრებდი, იგი ყოველკვირა პარტიულ ბიუროს წარმოუდგენს მასალებს ბრიგადაში სამუშაოთა მიმდინარეობის შესახებო.

მომეწონა ეს აზრი. ჩემთვის ნათელი გახდა, რომ ასეთი კონტროლის დაწესებით ბრიგადაში შრომის ნაყოფიერება გაიზრდებოდა და დისციპლინა განმტკიცდებოდა.

დაუყოვნებლივ ჩამოვწერე რვა ბრიგადა და მათ გვერდით ორ-ორი კომუნისტის გვარი და სახელი მივაწერე. შემდეგ ბიუროს სხდომაზე კომუნისტები ბრიგადებში საქმის დაყენების მიხედვით შევარჩიეთ. № 6 ბრიგადას, რომელსაც უფრო უჭირს, კოლმეურნეობის თავმჯდომარე ე. თომაშვილი და ახალგაზრდა კომუნისტი უ. მინდიაშვილი მივამაგრეთ, № 8 ბრიგადის მეთვალყურეობა და დახმარება კი თვითონ მე მხვდა წილად. აქვე იქნებოდა სტრატეგიული ბრიგადის ხელმძღვანელი ა. ჯალაბაძეც.

სულ მოკლე დროში ეს საკითხი პარტიულ კრებაზე განვიხილეთ, და მან კომუნისტთა ერთსულოვანი მხარდაჭერა ჰპოვა.

ხომ შეიძლება დარბაზიდან რეპლიკა მესროლონ, ჩამორჩენილები რომ ხართ, ამაზე რას იტყვიო. მაშინ მთავარია არ დავიბნე. ცოტა ხანს შეეჩერდები და კვლავ განვაგრძობ სიტყვას.

ჩვენს კოლმეურნეობას 420 ჰექტარი სახნავ-სათესი უჭირავს. ამ ფართობზე გვიოლია თავთავიანი კულტურები, ბოსტნეული, შაქრის ჭარხალი, 15 ჰექტარზე გაშენებული გვაქვს მსხმოიარე თესლოვანი ხეხილი, ხოლო 308 ჰექტარი ახალშენია.

დღეისათვის ყველა სამუშაო სანიმუშოდ არის შესრულებული. ხეხილის ბაღლბსა და ვენახებში ზუსტად დაცულია აგროწესები. მართალია, ჩამორჩენილებს გვიწოდებენ, მაგრამ მალე ჩვენზე ამას ვეღარ იტყვიან. წელს დიდი ღონისძიებები განვახორციელეთ სასოფლო-სამეურნეო წარმოების ალმავლობისათვის: დამატებით გავაშენეთ ვენახები, ხეხილის ბაღები, ადამიანის სამსახურში ჩავაყენეთ აქამდე გამოუყენებელი მიწები, მაგრამ დახმარება მაინც გვჭირდება. უწინარეს ყოვლისა, მინდა სატვირთო მანქანებზე ვილაპარაკო. დღისდღეობით ეს ჩვენთან ყველაზე მტკივნეული საკითხია. ამჟამად კოლმეურნეობაში მხოლოდ სამი სატვირთო მანქანა მუშაობს, ოთხი მანქანა კი კარგახანია გამოვიდა მწყობრიდან.

მოსავლის აღებას სულ მცირე 10 სატვირთო მანქანა დასჭირდება, მუშახელი საკმაოდ გვყავს. მოსავალს ავიღებთ, მაგრამ მთავარია გამოზიდვა. ხორბალს სიმინდი მოჰყვება, მერე შაქრის ჭარხალი, ხილი, ყურძენი, სიდამბლისა... ფაქტია, რომ ამ სატვირთო მანქანას გაუჭირდება ამ პროდუქტების დაბინავება. ამასთან, რა გარანტია გვაქვს, რომ სამი მანქანიდან არც ერთი არ გამოვა მწყობრიდან?

არაფერს ვიტყვი კომბაინებზე. ისინი უკვე საბრძოლო მზადყოფნაშია. ჩვენმა მექანიზატორებმა ჯ. ლომოფრანდა თ. ჯალაბაძემ კარგა ხანია შეაკეთეს ისინი. შემდეგ, რაზე შეიძლება ვილაპარაკო. ჩავხედავ წიგნაკს, იქ საკმაოდ მიწერია საკითხები.

ჩვენს კოლმეურნეობაში წამყვანი კულტურები მარცვლეული და შაქრის ჭარხალია. შაქრის ჭარხლის მოსავლიანობის გადიდება დიდად არის დამოკიდებული სასუქებზე. ჩვენ კი მის ნაკლებობას განვიცდით. მე, როგორც აგრონომმა, გამოვიანგარიშე, რომ თუ წელს თავის დროზე და განსაზღვრული რაოდენობით შეგიტანთ სასუქებს შაქრის ჭარხლის პლანტაციებში, მისი მოსავლიანობა 30 პროცენტით გაიზრდება.

ბოლოს ვიტყვი, რომ დიცის კოლმეურნეობის პირველადი პარტიული ორგანიზაცია დარაზმავს ყველა კომუნისტს, რომ განსაზღვრულ ვადებში ავიღოთ წლის მოსავალი და სახელმწიფოს გეგმის გადამტებით მივყიდოთ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები.

ვეკითხეთ ხალხს

ეს ფურცელი ეკუთვნის ... ...

კინოხელოვნება მშვიდობის, მეგობრობის სამსახურში

დევიზი „კინოხელოვნების ჰუმანიზმისათვის, ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობისათვის“ ჭეშმარიტად გამოხატავს იმ ვითარებასა და სულისკვეთებას, რომელიც მოსკოვის IV კინოფესტივალზე სუფევს. ამაზე ნათლად მეტყველებს გამოჩენილ კინოხელოვანთა პასუხიც ჩვენი გაზეთის სპეციალური კორესპონდენტის კითხვაზე: როგორ აფასებთ IV საერთაშორისო კინოფესტივალის იდეას თანამედროვე ხელოვნებისათვის?

ქვემოთ ვაქვეყნებთ ზოგიერთი კინოხელოვანის პასუხს.

ლაპარაკობენ ფესტივალის მონაწილენი

ჩ. პეტელსკი,
პოლონეთი.

კინოხელოვნების საერთაშორისო ფორუმი ჩვენთვის, კინემატოგრაფიის მუშაკებისათვის, წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს მოვლენას. ამ დღეებში ჩვენ ვჯამებთ განვლილ მუშაობას, განვაზოგადებთ გამოცდილებასა და ტენდენციებს მსოფლიო კინოხელოვნების განვითარებაში.

ჰუმანიზმი უნდა იყოს კინოს დროშა, ხალხის სამსახური — ჩვენი უმაღლესი მიზანი, ცხოვრებაში, კაცობრიობის ნათელი მომავლისათვის ბრძოლაში აქტიური მონაწილეობა კი — ჩვენი ძირითადი ამოცანა.

გვჯერა, რომ მოსკოვის ფესტივალი მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს იმაში, რომ კინოხელოვნება ჩაყენებულ იქნას მსოფლიოს ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცების სამსახურში.

წლევანდელ ფესტივალზე პოლონელმა კინემატოგრაფისტებმა წარმოადგინეს ეფი გოფმანისა და ედუარდ სკუჟევსკის „სამი ნაბიჯი მიწაზე“. ეს გახლავთ ახალგაზრდა მხატვართა მორიდებული, მაგრამ თავისებურად ორიგინალური ძიება.

ლ. ვანგანი,
მონღოლეთი.

ჩვენ, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის კინოს მუშაკები, მოსკოვის ფესტივალს უაღრესად დიდ მნიშვნელობას ვანიჭებთ. მისი მაღალ ჰუმანისტური დევიზი ნამდვილად უპასუხებს თანამედროვეობის მთავარ პრობლემებს. და შემთხვევითი როდია, რომ ჩვენი ფესტივალის იდეები ეხმაურება ჰელსინკის მშვიდობის მსოფლიო კონგრესის იდეებს.

ფესტივალზე ჩვენ წარმოვადგინეთ ფილმი „მეგობრობა —მეგობრობითი“.

სანტიაგო ალვარესი,
კუბა.

სერგეი ეიზენშტეინის „ივანშნოსან პოტიომკინის“ შემდეგ კინემატოგრაფიაში მტკიცედ დამკვიდრდა რევოლუციური აზრი, რომელიც დღეს წამყვანი ძალა გახდა მსოფლიოს პროგრესული კინოხელოვნების მოღვაწეებისათვის.

თანამედროვე კუბის კინოხელოვნების მთავარი გმირია რევოლუცია, ხალხის ბრძოლა ეროვნული და სოციალური დამოუკიდებლობისათვის. ეს თემა ამოუწურავია და სულ უფრო მეტ ხელოვანს იზიდავს. პირადად მე გადაწყვეტილი მაქვს მალე დავამთავრო ფილმი ჰავანის მეორე დეკლარაციაზე და გადავიღო დოკუმენტური ფილმი ვიეტნამელი ხალხის ბრძოლაზე.



ფარმოების მაღალი კულტურისათვის ბრძოლის საუკეთესო მაგალითს იძლევა თბილისის ქარხანა „მიკრორეკორდის“ კოლექტივი. საამქროებში და უბნებში თვალს ახარებს, ადამიანებს შრომის ხალისს უორკეცებს უხვი ყვავილები. მარტო დამსვენე საამქროში 600-მდე სხვადასხვა ჯიშის ნაირ-ნაირი ფერის ყვავილის ნერგია ჩამწკრივებული.

სურათზე: დამსვენე საამქროს ოსტატი ნ. გელაშვილი (მარცხნივ) და დამკომპლექტებელი ლ. რამაზაშვილი მზრუნველობით უვლიან ყვავილებს.

ფოტო ს. ბილაძისა.

ალმოცენები, სიაზლეები

კლაზმური ლითონსაჭრელი

საახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენის მანქანათმშენებლობის პავილიონში მოიტანეს და გამაროვეს ახალი ექსპონატი — **ავტომატური პლაზმური ლითონსაჭრელი** დანადგარი, რომელიც სპეციალისტების გახსაკუთრებულ დაინტერესებას და მოწონებას იწვევს. საერთოდ პლაზმური ლითონსაჭრელი ჩვენი მანქანათმშენებლებისათვის უცხო არ არის, მაგრამ ეს დანადგარი — „ოს-1-65“, რომელიც სმოლენსკელმა ინჟინრებმა გააკეთეს, ხელსაყრელად გამოირჩევა მათგან ბევრი ტექნიკური მახასიათებლით და გამოსაყენებლადაც უფრო კარგია.

ახალი პლაზმური ლითონსაჭრელი ორჯერ უფრო მძლავრია. მის ასამუშავებლად დენის გენერატორის ნაცვლად გამოყენებულია იგნიტრონული გამმართავი და სამი ვარსკვლავისებრად შეერთებული ტრანსფორმატორი. დახადგარი იძლევა 35-40 ათასი გრადუსის ტემპერატურიანი პლაზმის ჭავლს (შედარებისათვის მკოთხელს გავახსენებთ, რომ მზის დისკოს პერიფერიის ტემპერატურა 6 ათასი გრადუსია), რომელიც ლითონთან შეხვედრისას იწვევს ლითონის წვრილს და ჭავლის წარმართვის ხახით სჭრის მას.

ელმავალი ორმაგი კვებით

დნეპროპეტროვსკის (უკრაინა) ელმავალსამშენებლო ქარხნის კონსტრუქტორებმა დაამთავრეს ახალი, ორმაგი კვების ელმავლის „ელ-26-ის დაპროექტება. ეს ელმავალი განკუთვნილია რკინიგზის ტრანსპორტის დიდ საკვანძო სადგურებზე სამანევრო სამუშაოების შესასრულებლად. ელმავალი „ელ-26“ ექვსღერძიანია, მისი სიმძლავრეა 1.330 კილოვატი და მუშაობს როგორც საკონტაქტო ქსელიდან მიღებული დენით, ისე, თუ საკონტაქტო ქსელი არ არის, თვით ელმავალზე გამართული საკუთუნაციო ბატარეიდან მიღებული დენით.

ამიტომ ეწოდება ამ ელმავალს ორმაგი კვების ლოკომოტივი.

ასეთი ლოკომოტივი პირველად კეთდება საბჭოთა კავშირში.

გაუხუნებელი საღებავები

ორგანული ნახევარპროდუქტებისა და საღებავების საკავშირო სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტში სინთეზური წესით მიიღეს ახალი კლასის ე. წ. ქინაკრიდონული პიგმენტები. ამ პროდუქტს მეცნიერ მუშაკებმა შესძინეს სინათლისა და სითბოგამძლეობის არაჩვეულებრივი თვისებები. ქინაკრიდონული პიგმენტები უძლებენ 240 გრადუსამდე ტემპერატურას, ხოლო სინათლის ინტენსივობა მათზე პრაქტიკულად ვერავითარ გავლენას ვერ ახდენს.

როგორც დასახელებულ ინსტიტუტში განაცხადეს, ამ ახალ პიგმენტებს დიდი მომავალი აქვთ. სინათლის გამძლე ასეთი პიგმენტების საჭიროებას მწვავედ განიცდიან სახალხო მეურნეობის ისეთი დარგები, როგორიც არის ლაქ-საღებავების მრეწველობა და პლასტმასის ნაკეთობათა გამომშვები საწარმოები. ქინაკრიდონული პიგმენტების გამოცდამ გვიჩვენა, რომ მათ ბაზაზე დამზადებული ინსფერი, ყვითელი და მკაფიო-წითელი ზეთის საღებავებით შეღებული ნივთები არსებითად არასოდეს ხუნდებიან, უცვლელად ინარჩუნებენ თავდაპირველ ხალისიან ფერს.

„კომუნისტის“ რეიდი

რეიდის მონაწილენი: თ. ფირცხალაიშვილი, ა. მუკვიდოლაძე, რ. კრავჩენკო — დიასახლისები, ზ. ჯამასაშვილი, ბ. ბაბუურიძე — გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციის თანამშრომლები.

მოგზაურებლის გულისწყრომა

რატომ იყიდება უხეირო გოსტნეული თბილისის ხილგოსტანავაჭროგისა და კოოპავაჭროგის მაღაზიებში?!

ოგილისში საკოლმეურნეო ბაზარი შუადამ მდიდარი და უხვი იცის. ასეა ახლაც. რა გინდა სულო და გულო, აქ რომ არ იყოს. ნაირ-ნაირი ხილი, ბოსტნეული და ბაღჩეული... ყველაფერია, მაგრამ ძვირიაო, გაიგონებთ მომხმარებელთა სამდურავს. ეს მართალია და ამის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ჩვენი სავაჭრო ორგანიზაციების უხეირო მუშაობაც არის.

პირველრიგში დიასახლისები დაგვემოწმებიან, რომ წელს თბილისმბოსტანავაჭრობის მაღაზიებში ივნისის ბოლოობამდე არ გამოჩენილა ისეთი ფართო მოხმარების ბოსტნეული, როგორიც პამიდორი და კიტრია. კოლმეურნეებს კი საკარმიდამო საკეთებზე მოყვახილი ეს პროდუქტები ივნისის დასაწყისიდანვე უხვად მოჰქონდათ ბაზარზე.

თბილისმბოსტანავაჭრობის ხელმძღვანელებს (დირექტორი ა. კაკაბაძე) ამის მიზეზი რომ ვკითხეთ, თავი იმართლეს. ჩვენი რა ბრალია, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მერძეველობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობების ტრესტმა (მმართველი დ. ბარამიძე) ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობა არ შეასრულო.

ეს მართლაც საფუძვლიანი საბუთია თავის გასამართლებლად. ტრესტშიც ვერ უარყვეს, რომ პირობა არ შეასრულეს. ტრესტს ივნისში სავაჭრო ორგანიზაციებისათვის უნდა ჩაებარებინა 683 ტონა პამიდორი და 303 ტონა კიტრი. ფაქტიურად ჩაბარა მხოლოდ 5 ტონა პამიდორი და 30 ტონა კიტრი. ასე რომ ფაქტიურად ივნისში ამ პროდუქტებს სავაჭრო ქსელამდე არც მიუღწევიათ.

რატომ მოხდა ეს? რატომ ვერ მოიყვანა ტრესტმა საკმაო რაოდენობით კიტრი და პამიდორი ივნისში, როგორ მოხდა, რომ მსხვილ სპეციალიზებულ საბჭოთა მეურნეობებს კერძო პირებმა აჯობეს საკარმიდამო ნაკვეთში მოწყობილი მეურნეობით?

ამის მიზეზი თურმე ის არის, რომ მერძეველობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობებს დღემდე არ გაეჩინათ **შესაფერი სასათბურო მეურნეობები** აღრეული ბოსტნეულის მოსაყვანად.

კარგი მიზეზი კია! ეს ხომ იმას ჰგავს, მხვილ-მთესველმა შემოდგომაზე თავის მართლება დაიწყოს, გუთანი არა მქონდა და რანაირად დავთესავდიო. მერძეველობა-მებოსტნეობის სპეციალიზებულმა ტრესტმა, მეურნეობამ უწინარეს ყოველისა რაზე უნდა იზრუნოს, თუ არა სათბურების მოწყობაზე! ნუთუ დიდ სმენელეულ წარმოადგენს საბჭოთა მეურნეობაში სასათბურე მეურნეობის მოწყობა?

ტრესტში გვითხრეს, ამ ზაფხულისათვის ვერ მოვასწრებთ, მაგრამ მომავლისათვის ამ მხრივ ფართო გეგმები გვაქვს დასახული. მარტო წელს სასათბურე მეურნეობების მშენებლობაზე დაიხარჯება 486 ათასი მანეთი. ახალი ტიპის სათბურები შენდება კრწანისის და ავჭალის საბჭოთა მეურნეობებში, ახლო მომავალში სასათბურე მეურნეობები უნდა მოეწყოს ბოლნისის, მარნეულის, გარდაბნის რაიონების მერძეველობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობებში. მაგრამ თუ საქმეს მეტი პასუხისმგებლობით არ მოეკიდნენ, კვლავ წლევანდელი მაგალითი გამეორდება. საბჭოთა მეურნეობები საადრეო ბოსტნეულს საკმაო რაოდენობით ვერ მოიყვანენ. ამ საქმეში მეტი ქმედითი დახმარება უნდა გაუწიოს ტრესტს სოფლის მეურნეობის სამინისტრომ.

ყველაფერი ეს მომავლის საქმეა, ამჟამად კი სათბურების უქონლობის გამო საბჭოთა მეურნეობებს საადრეო ბოსტნეული ვერ მოპყავთ. ამიტომ არის, რომ საკოლმეურნეო ბაზარში სეზონის დასაწყისში ასე ძვირია კიტრი და პამიდორი. წელს თითქმის მთელი ერთი თვის განმავლობაში 2 მანეთზე ქვევით არ ჩამოსულა კილოგრამი პამიდორის ფასი, ხოლო კიტრი მანეთზე ნაკლები არა ღირდა.

მართალია, ამჟამად თბილისმბოსტანავაჭრობის სავაჭრო ქსელში უხვად აქვთ პამიდორი, კიტრი და სხვა ბოსტნეული, მაგრამ ახლა მყიდველი არა გვყავსო, შემოგვჩივლეს მაღაზიებში.

და ეს სრულიადაც არ არის გასაკვირველი. მყიდველი არა ჰყავთ, ჯერ ერთი, იმიტომ, რომ პროდუქცია **უხარისხოა, არასტანდარტული, ცუდი და დაგვიანებული ტრანსპორტირების გამო დაბეჭილი და ნახევრადდამპალი.** მეორეც, ასეთი პამიდორი და კიტრი მაღაზიაში — **სახელმწიფო სავაჭრო დაწესებულებებში გაცილებით ძვირი ღირს, ვიდრე საკოლმეურნეო ბაზარში.**

მაგალითად, 8-9 ივლისს თბილისმბოსტანავაჭრობის სისტემის მაღაზიებში პამიდორს 70 კაპიკად ჰყიდნენ, კიტრს — 30 კაპიკად, ამავე დღეებში თბილისის თითქმის ყველა საკოლმეურნეო ბაზარში გაცილებით უკეთესი პამიდორი 50-60 კაპიკი ღირდა, კიტრი — 20-25 კაპიკი.

10 ივლისიდან თბილისმბოსტანავაჭრობის ქსელში კიტრსა და პამიდორს ფასი დაეკლეს (ამჟამად პამიდორი 30 კაპიკი ღირს, კიტრი 10 კაპიკი), მაგრამ ამან საქმეს ვერ უშველა. **მომხმარებელი მაღაზიას მაინც არ ეტანება, რადგან პროდუქტები იმდენად უხარისხოა, რომ ის არ. ჩევს საკოლმეურნეო ბაზარზე მეტი მისცეს და კარგი იყიდოს.**

ორჯონიკიძის რაიონის საკოლმეურნეო ბაზარში ასეთი დიალოგის მოწმე ვიყავით: ლელიანელი კოლმეურნე ვაჟა ჩუბინიძე 40 კაპიკად ჰყიდდა თავის საკარმიდამო ნაკვეთზე მოყვანილ საუკეთესო პამიდორს, ერთმა დიასახლისმა შეატყო, პატრონსანი კაცი იყო გამყიდველი და შეეკითხა:

— ოცდაათ კაპიკად არ მომცემთ? ოთხ კილოს წავიღებ.

კოლმეურნეს გაეცინა და უთხრა:

— ქალბატონო, ოცდაათ კაპიკად კი არა, უფრო ნაკლებადაც მოგცემდით, მაგრამ მეშინია გიკად არ ჩამთვალოთ ან არა და მოწამლული არავის ეგონოს ჩემი პამიდორი. ნახეთ, აგერ გვერდით მაღაზიაში როგორ პამიდორს აწერია 30 კაპიკი, ნახეთ-რიც არ ამოირჩევა საღი.

მართალია, სამწუხაროდ, ეს მაღაზიები რომ არა, დარწმუნებული ვართ — უფრო იაფი იქნებოდა პროდუქტები ბაზარში.

ასეთ პირობებში, ცხადია, თბილ-ხილ-ბოსტანავაჭრობის სავაჭრო სისტემის მაღაზიები კონკურენციას როგორ გაუწევენ საკოლმეურნეო ბაზარს, პირველი, ზაცია, ისე რომ მაღაზიაში საქონელი უფრო იაფი იყოს, ვიდრე ბაზარზე. თუ როგორ ასრულებენ ამ პირობას თბილ-ოოკოპავაჭრობის სავაჭრო ქსელში, ეს ზემოთ მოყვანილი მაგალითიდან დაინახეთ.

თბილკოოპავაჭრობის ხელმძღვანელებმა გვითხრეს, ამჟამად რაიონებში დამამზადებლები არა გვყავს, რადგან რაიონში პროდუქტების მესყიდვის უფლება არა გვაქვსო.

— მაშ საღ ყიდულობთ? — ვკითხეთ.

— თუ ვინმე იდგილზე მოგვიტანს, ვიყიდით. საკოლმეურნეო ბაზარში ყიდვის უფლებაც არა გვაქვს.

„ადგილზე“ კი არავის არ მიაქვს, ცხადია, რაიონიდან დედაქალაქში ჩამოსული კოლმეურნე არჩევს პირდაპირ საკოლმეურნეო ბაზარს მიაშუროს. ამიტომ არის, რომ ყოველდღე დილაუთენია კოოპავაჭრობის წარმომადგენლები საკოლმეურნეო ბაზრების შესასყიდელებთან არიან ატუხული და გახურებული ვაჭრობა აქვთ კოლმეურნეებთან. ცდილობენ იაფად შეიძინონ პროდუქტები, რომ შემდეგ უფრო ძვირად გაყიდონ.

განა შეიძლება ასეთ სავაჭრო ორგანიზაციას ბომბმარებელი ქმაყოფილი ყავდეს?!

გაკვირვებას იწვევს კიდევ ერთი გარემოება. ადგილებზე დამამზადებლები არასტანდარტულ და უხარისხო პროდუქტს არ იბარებენ არც კერძო პირებისაგან, არც კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისაგან. **მაგრამ მაღაზიებში რატომ არა ჩანს საგანგებოდ გადარჩეული ასეთი პროდუქტები, საიდან ჩნდება სავაჭრო ქსელში უხარისხო კიტრი და პამიდორი?**

ავი ენები იმასაც ამბობენ, აქ რაღაც მაქინაციებია. ჩვენ სხვის ცოდვაში ვერ ჩავდგებით. მაგრამ ფაქტია, რომ თავიანთი უხეირო მუშაობით ვაჭრობის მუმაკები საბაბს იძლევიან ასეთი ექვი გამოითქვას.

თბილისის საკოლმეურნეო ბაზრების დათვალიერებისას თვალში გეცემათ უწესრიგობა, სიავწროვე, არც ერთი ბაზარი არ არის ჩვენს ქალაქში შესაფერად კეთილმოწყობილი. თავი რომ დავანებოთ კოლმეურნეთა ღამის გასათევ ოთახებს, რაზეც დროა იფიქრონ, არსად, არც ერთ საკოლმეურნეო ბაზარში არ არის კარგად მომზადებული დედათა და ბავშვთა ოთახი.

რეკონსტრუქციასთან დაკავშირებით მეტად მძიმე მდგომარეობაა ამჟამად პირველი მაისის რაიონის ბაზარში. აქ ისეთი სიავწროვეა, ადამიანს გაკვლა უჭირს. ხშირად პროდუქტები ბაზრის ტერიტორიის გარეთ პირდაპირ ქუჩაში უწყვიათ კოლმეურნეებს და აქვე ჰყიდიან. თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის ვაჭრობის სამმართველომ უნდა გამონახოს მშენებლობის დამთავრებამდე ბაზრის ტერიტორიის დროებით გაფართოების საკითხი. ეს შესაძლებელია, თუ ბაზრის წინ კლარა ცეტკინის ქუჩაზე აიღებენ ჩამოსასვლელი საბჭოს აღმასკომის ვაჭრობის სამმართველომ უნდა გამონახოს მშენებლობის დამთავრებამდე ბაზრის ტერიტორიის დროებით გაფართოების საკითხი. ეს შესაძლებელია, თუ ბაზრის წინ კლარა ცეტკინის ქუჩაზე აიღებენ ჩამოსასვლელი საბჭოს აღმასკომის ვაჭრობის სამმართველის საკუთარ ფასადს, ანალიზებს ზეპირად აკეთებს, გვაძლევენ.

— როგორ, რანაირად, რა საბუთის ძალით უმტკიცებთ, — კითხულობდნენ საავადმყოფოს მუშაკები, რომლებიც გოგუცა ჯგერენაიას პატიოსან ადა კეთილსინდისიერ მუშაკად იცნობდნენ.

— როგორ და, შარდის ნაცვლად ჩაის ნაკელი შეეუბაზავნეთ და...

ატყდა მითქმა-მოთქმა. სახელდახელოდ მოიყვანეს საავადმყოფოს სამედიცინო საბჭოს სხდომა და შემდეგი დადგენილება გამოიტანეს:

„სამსახურისადმი გულგრილი დამოკიდებულებისათვის. სამუშაოს უგულებელყოფისათვის, ყალბი ანალიზების წარმოდგენისათვის ლაბორანტი გ. ჯგერენაია განთავისუფლდეს თანამდებობიდან“.

დადგენილებაში ზუსტად ეს სიტყვები ეწერა, მაგრამ საქმით არ მტკიცდებოდა, რომ ეს ასე იყო. ამიტომ ჯგერენაიამ მართლმსაჯულების ორგანოებს მიმართა. იჩამჩირის სახალხო სასამართლომ განიხილა ეს საქმე, და ჯგერენაია, როგორც უსაფუძვლოდ განთავისუფლებული, სამუშაოზე აღადგინა.

სახალხო სასამართლოს ამ გადაწყვეტილებას შ. ჯოამაძემ არ დაუჯერა და საქმე საკასაციო წესით აფხაზეთის ასსრ უმაღლეს სასამართლოში გაასაჩივრა. უმაღლესმა სასამართლომ სახალხო სასამართლოს გადაწყვეტილება უცვლელად დატოვა. გ. ჯგერენაია თავის სამუშაოს დაუბრუნდა.

საავადმყოფოში მომხდარი ეს უსიამოვნება წინ უსწრებდა გ. ჯგერენაიას „ეიფლო გათოვების“ ამბავს. სწორედ ამიტომ დაებადა გოგუცას ექვი. მერე და აქვს მას ამის საფუძველი?

ვინ იცის, ყველაფერი ხდება ამ ქვეყნად. ზოგჯერ მოვლენები, ადამიანთა ინტერესები უხილავი ძაფებით არის ერთმანეთთან გადაბმული. სხვანაირად ძნელია ახსნა, თუ რატომ ცდილობდნენ ასე გულმოდგინედ „მაჭანკლები“ გოგუცას გათხოვებას და რატომ ურჩევდნენ მას უარი ეთქვა სამსახურში დაბრუნებაზე.

ვინ იცის... ყველამ თავის გულში ჩაიხედოს და იქნებ სინდისმა ახლა მაინც შეაწუხოს ამ ულამაზო საქციელისათვის.

ი. გოგეჩია,
მ. მიქაძე.

„კომუნისტის“ რეიდი

სასკოლო მშენებლობა — ფიზიკურ-ტექნიკური ინსპექტირების ობიექტი

კარგი და ცუდი მშენებლები

ქალაქ წყალტუბოს თერნალის უბანში მეტრონთ დაგებულ გზას სამბავშვო ბაღისა და სამუალო სკოლის ახალი ორსართულიანი შენობებისაკენ მივყვავართ. სამბავშვო ბაღი მიმდინარე წლის დამდეგს გადაეცა საექსპლოატაციოდ, ხოლო სამუალო სკოლის შენობა უკვე ყოველმხრივ მზად არის მოსწავლეთა მიღებად.

№ 4 საერთო-სამშენებლო ტრესტის № 2 სამშენებლო სამმართველოს (უფროსი ბ. ყუბანეიშვილი, სამუშაოთა უფროსი მწარმოებელი ლ. პირველაშვილი) უზადოდ, გემოვნებით შეესრულებია ყველა სამუშაო. ახლა მშენებლებს ისღა დარჩენიათ ეზოს კეთილმოწყობაზე იზრუნონ.

ამავე სამმართველოს მშენებლები წყალტუბოს რაიონის სოფელ გვიშტიბში 320 მოსწავლისათვის სამუალო სკოლის ახალ კორპუსს აგებენ. შენობა კარგადაა გადახურეს, წინა ფასადიც შელესეს და ლამაზად გაალაქავეს. ამჟამად სწრაფი ტემპით აწარმოებენ იატაკის დაგებასა და შიდა მოპირკეთებას. მშენებლებს ყველა საშენი მასალა ადგილზე აქვთ, საცაა მემონტაჟეები ცენტრალური გათბობის სისტემასაც დაამთავრებენ. ერთი სიტყვით, საეჭვო არ არის, რომ გვიშტიბის საშუალო სკოლის მშენებლობას 20 აგვისტომდე მორჩებიან.

სამწუხაროდ, ასე ვერ ვიტყვით საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტროს წყალტუბოს სამშენებლო უბნის (უფროსი ე. კარანაძე) მშენებლებზე, რომლებსაც სკოლების რეკონსტრუქციისა და მიშენებადაშენების დიდი მოცულობის სამუშაობი აქვთ შესასრულებელი.

ამ უბნის მშენებლებმა სოფელ ქვილიშორის რვაწლიან სკოლას 11 საკლასო ოთახი უნდა მიუშენონ. მართალია, კედლების ამოყვანასა და ხუთი ოთახის გადახურვას მორჩნენ, ჰაგრამ დღემდე გადახურული არ არის 6 საკლასო ოთახი. ადგილზე არა აქვთ ჭერის გადახურვისა და იატაკის დაგებისათვის საჭირო მასალები. აკლიათ კოჭები. ხე-ტყის მასალის მოლოდინში უსაქმოდ რომ არ დარჩენილიყვნენ, ხელოსნებს კედლების წელესვა ისე დაუწყიათ, რომ არც ჭერია მომზადებული, არც იატაკი.

— ჭერს შემდეგ შევლესავთ, ამბა ტყუილურალოდ ხომ არ გავცდებით, — გასაცვლადა ხელოსანმა ვ. ჩხეიძემ და თან დასძინა:— ასე შუამაბა შელესვის საერთო ხარისხს, ცხადია, ცოტა გააუარესებს.

კიდევ უფრო ცუდი სურათია ხომულის 8-წლიან სკოლაში, რომელსაც აგრეთვე 11 საკლასო ოთახს უშენებენ. აქ 8 საკლასო ოთახი თუმცა სახურავის ქვეშ მოუქცევიათ, მაგრამ სამი ოთახის მშენებლობა კი დღემდე საძირკველს არ ასცილებია. სამუშაოთა მწარმოებელის რ. კირთაძის განკარგულებით აქაც, ისე როგორც ქვილიშორში, კედლების ლესვა ისე დაუწყიათ, რომ ოთახებში არც იატაკია დაგებული და არც ჭერია გაკეთებული, რადგან აკლიათ ხე-ტყე და სხვა საშენი მასალები.

ყველაფრიდან ჩანს, რომ მშენებლები ხარისხისათვის სრულებითაც არ იწუხებენ თავს. ქვის ბლოკის კედლები ალაგ-ალაგ უსწოროდ და ხარვეზებით არის ამოშენებული. კედლები და სახურავი შეერთებულია უალავარდახად.

ახალი სასწავლო წლისათვის მთლიანად უნდა დამთავრდეს სოფელ ქვედა მეხუთის 8-წლიანი სკოლის რეკონსტრუქცია და მას დამატებით ექვსი საკლასო ოთახი უნდა მიუშენდეს. სკოლის მშენებლობაზე, რომელსაც აგრეთვე საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტროს წყალტუბოს სამშენებლო უბანი აწარმოებს, გათვალისწინებული 17 ათასი მანეთიდან ათვისებულია შვიდი ათას მანეთამდე.

ცხადია, სამშენებლო უბნის ხელმძღვანელები ასეთი მუშაობით შორს ვერ წავალენ.

შ. ჯავახაძე,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

ოქროს ხმლები

ფარიკაობაში მსოფლიოს ჩემპიონატის მონაწილეებს ფინიში ჰქონდათ.

როგორც ვიუწყებოდით, წარმატებით გაიარეს დისტანცია საბჭოთა მოფარიკაველებმა და დასკვნითს ასპარეზობაში იტალიის გუნდს შეხვდნენ. ეს პაექრობა გამოირჩეოდა შეუპოვრობით, მაღალტექნიკური ბრძოლით და დამთავრდა საბჭოთა სპორტსმენების გამარჯვებით ანგარიშით 9:7.

ამრიგად, სსრ კავშირის ხმლით მებრძოლთა კოლექტივი მსოფლიოს ჩემპიონი გახდა. ჩვენი გუნდის შემადგენლობაში იყვნენ: ი. რილსკი, ნ. ასათიანი, უ. მავლიხანოვი, ზ. რაკიტა, ბ. მელნიკოვი. მეორე ადგილზე გამოვიდნენ იტალიელები, მესამეზე — ფრანგი მოფარიკაველები.

ჩარიზის მსოფლიოს ჩემპიონატზე საბჭოთა მოფარიკაველებმა ოთხი ოქროს და ამდენივე ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს, ამასთანავე საერთო გუნდური პირველი ადგილი დაიკავეს.

სპორტული ქრონიკა

● **გუშინ** გაიმართა „ა“ კლასის მეორე ჯგუფის გუნდების შეხვედრები ფეხბურთში. ხარკოვში „ავანგარდის“ წინააღმდეგ თამაშობდა თბილისის „ლოკომოტივი“. გამმარჯვეს მასპინძლებმა ანგარიშით 2:1.

● **მოსკოვში** გაბართულ ახალგაზრდა ფეხბურთელთა გუნდების ტურნირზე სპეციალურმა კომისიამ შეარჩია ორმოცი საუკეთესო ფეხბურთელი. მათ შორის საქართველოდან არიან: მეკარე ჩლაიძე (თბილისის ახალგაზრდა ფეხბურთელთა სკოლა), მცველი გეგეჭკორი (თბილისის „დინამო“), ნახევარმცველი ჭოლაძე (ქუთაისის „ტორპედო“), თავდამსხმელები ასათიანი (თბილისის „დინამო“), მაზიაშვილი (თბილისის „ლოკომოტივი“).

● **თბილისში** დამთავრდა საქართველოს პირველობა ჩოგბურთში. ქალთა შორის ჩემპიონი გახდა ი. ერმოლოვა, ვაკთა შორის — თ. კაკულია. ვაკთა წყვილებში წარმატება ხვდათ ნ. მძინარაშვილსა და ა. ვერულავას, ქალთა წყვილებში — ი. ერმოლოვასა და ა. ივანოვას, შერეულ წყვილებში ა. ივანოვასა და ნ. მძინარაშვილს.

● **თბილისის** რეგბისტთა ნაკრებ გუნდს მოსკოვში პირველი პაექრობა ჰქონდა სსრ კავშირის ჩემპიონთან — მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტის გუნდთან. თბილისელებმა წარმატებით ჩაატარეს ბრძოლა და გაიმარჯვეს ანგარიშით 12:9.

ასპარეზობა პრაღაში

პრაღა, 13 ივლისი. (საკვლევ). „იმედთა ტურნირი“ უწოდებენ ევროპის მაგიდის ჩოგბურთელთა მერვე ახალგაზრდულ ასპარეზობას, რომელიც ჩეხოსლოვაკიის დედაქალაქში დაიწყო. აქ 19 ქვეყანამ გამოუზავნა ახალგაზრდა ჩოგბურთელები სპორტული სიმწიფის გამოცდებზე.

პირველმა დღემ წარმატება მოუტანა ჩვენი ქვეყნის წარმომადგენლებს. ჭაბუკთა გუნდმა „სტანდარტული“ ანგარიშით 5:0 თანამიმდევრულად დაამარცხა ლუქსემბურგის, ბელგიის, ეგვიპტინის ფედერაციული რესპუბლიკის ნაკრები გუნდები და ნახევარფინალში გავიდა. წარმატება მოიპოვეს ჩვენმა გოგონებმაც, რომლებმაც ანგარიშით 3:0 დაამარცხეს საფრანგეთის, იუგოსლავიის გუნდები და ჩეხოსლოვაკიის მეორე ნაკრები.

ფაიფურეული ჰაფარძალი...

გოგუცა ჯგერენაიას გათხოვების ამბავი რომ გაიგეს, მოულოდნელობისაგან ყველა გაოცებული დარჩა. ადრე მის გათხოვებაზე არაგვითარი ლაპარაკი არ ყოფილა. არ ქქონიათ არც ნიშობა, არც ქორწილი... გოგუცას უსწორეს სათესავებსაც კი არაფერი გაუგიათ. იმ დღეს დილით იგი ჩვეულებრივ სამსახურში — რაიონული საავადმყოფოს ლაბორატორიაში გამოცხადდა, მთელი დღე თავაზადებლად იმუშავა და, თქვენ წარმოიდგინეთ, ძველებურმა ნატამალიც კი არ ეტყობოდა საპატარძლოს. ვინ იფიქრებდა, რომ სწორედ დღეს უნდა გადაედგა მას ცხოვრებაში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და სერიოზული ნაბიჯი.

სხვებს კი არა, თვით გოგუცასაც არ მოსვლია ფიქრად, თუ ასე ერთბაშად და ნაუბათვევად გადაწყდებოდა მისი ბედი. მას არ უფიქრია, მაგრამ, ეტყობა, სხვები ფიქრობდნენ ამაზე და ნიადაგს ამზადებდნენ მისი გათხოვებისათვის.

ესენი გახლდნენ გალის რაიონის მილიციის მუშაკები ბორის შონიან და იაშა კვეკვესკირი. მათ საკუთარი გემოვნებითა და სურვილით სასიძოდ შეარჩიეს. იმხანად სოფელ საბერიოში ენგურჰესის მშენებლობის ავტოსატრანსპორტო კანტორის ერთ-ერთი გარაჟის გამგედ მუშაობდა ზუგდიდელი აპოლონ მამულია, რომელსაც ახლო მეგობრობა ჰქონდა ბორის შონიასთან. სწორედ ის ამოიღეს მიზანში სასიძოდ მაჭანკლებმა.

— გოგუცა, რომ იცოდე რა ბიჭი მყავს შენთვის ამორჩეული!.. — ეუბნებოდა იაშა კვეკვესკირი თავის ნათესავს გოგუცა ჯგერენაიას და ჰპირდებოდა, სასიძოს მალე შეგახვედრებო.

— აი ასეთი გოგო უნდა გაგრიგიო, აპოლონ! — ეხუმრებოდა თავის მხრივ ბორის შონია თავის ძმაკაცს და საბერიოდან გალში ეპატიჟებოდა.

ბოლოს და ბოლოს ამ მაჭანკლების მეცადინეობით ქალ-ვაჟის შეხვედრა მართლაც შედგა. ეს მოხდა იაშა კვეკვესკირის მამიდის — ლიდა კვეკვესკირის ოჯახში, რომელიც ნათესავად ერგებოდა გოგუცასაც.

იმ სადამოს ბ. შონიამ, საბერიოდან გალისაკენ რომ მიეშურებოდა, თავის ძმაკაცს ა. მამულიას ჩაავლო ხელი: წამოდი ჩემთან, ბედსა გწევო. აპოლონმა არ იცოდა, რა ბედიღბალსა და ნატვრისთვალს ჰპირდებოდა მეგობარი, მაგრამ მაინც წაჰყვა.

გალში რომ ჩავიდნენ, შონიამ უთხრა, მოდი, იაშა კვეკვესკირთან შევიართო, უკეთოდ არის და ვინახულოთო. ათიოდე ბოლი შამპანური იყიდეს და ლიდა კვეკვესკირის სახლში მივიდნენ ავადმყოფის სანახავად. უკეთოდ მყოფი იაშა კვეკვესკირი ჩეიფის გუნებაზე დახვდათ და სასწრაფოდ გაიშალა სუფრა.

მორალის თემაზე

უცებ სად იყო, სად არა, მასპინძლებმა გოგუცა ჯგერენაიაც გააჩინეს და გვერდით დაუსვეს ა. მამულიას.

ამ საქმის მესვეურებმა ბევრი ცერემონია საჭიროდ არ

ქუთაისის ა. წულუკიძის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი

აცხადებს სტუდენტთა მიღებას 1965/66 სასწავლო წლისათვის დღისა და საღამოს სწავლების განყოფილებების შემდეგ სპეციალობებზე:

ა) დღის სწავლების განყოფილებაზე. 1) ქართული ენისა და ლიტერატურის; 2) რუსული ენისა და ლიტერატურის; 3) ქართული ენისა და ლიტერატურის და უცხო ენის (ინგლისური, გერმანული, ფრანგული); 4) მათემატიკის; 5) ფიზიკის; 6) ბიოლოგიის; 7) გეოგრაფიის; 8) ისტორიის; 9) დაწყებითი განათლების პედაგოგიკისა და მეთოდიკის.

ბ) საღამოს სწავლების განყოფილებაზე. 1) ქართული ენისა და ლიტერატურის; 2) რუსული ენისა და ლიტერატურის; 3) მათემატიკის; 4) ისტორიის; 5) დაწყებითი განათლების პედაგოგიკისა და მეთოდიკის.

ინსტიტუტში შემსვლელნი (ორივე განყოფილებაზე) მისაღებ გამოცდებს სპეციალობის მიხედვით აბარებენ შემდეგ საგნებში (მაპროფილებელი საგნები აღნიშნულია ვარსკვლავით):

I. ქართული ენისა და ლიტერატურის, ქართული ენის, ლიტერატურისა და უცხო ენების სპეციალობებზე: ქართულ ენასა და ლიტერატურაში (წერა და ზეპირი)*; უცხო ენაში*; სსრ კავშირის ისტორიაში.

II. რუსული ენისა და ლიტერატურის სპეციალობაზე: რუსულ ენასა და ლიტერატურაში (წერა და ზეპირი)*; უცხო ენაში*; სსრ კავშირის ისტორიაში.

III. ისტორიის, დაწყებითი განათლების პედაგოგიკისა და მეთოდიკის სპეციალობებზე: ქართულ ენასა და ლიტერატურაში (წერა და ზეპირი)*; სსრ კავშირის ისტორიაში*.

IV. მათემატიკის სპეციალობაზე: მათემატიკაში (წერა და ზეპირი)*; ფიზიკაში*; ქართულ ენასა და ლიტერატურაში (წერა).

V. ბიოლოგიის სპეციალობაზე: ქიმიაში*; ფიზიკაში*; ქართულ ენასა და ლიტერატურაში (წერა).

VI. გეოგრაფიის სპეციალობაზე: გეოგრაფიაში*; სსრ კავშირის ისტორიაში*; ქართულ ენასა და ლიტერატურაში (წერა).

VII. ფიზიკის სპეციალობაზე: ფიზიკაში*; მათემატიკაში (წერა და ზეპირი)*; ქიმიაში; ქართულ ენასა და ლიტერატურაში (წერა).

განცხადება მიღების შესახებ შემსვლელს შეაქვს უმაღლესი სასწავლებლის რექტორის სახელზე სპეციალობის ჩვენებით შემდეგი საბუთების დართვით: 1. **საშუალო განათლების დოკუმენტი (დედანი).** საშუალო სპეციალური სასწავლებლის კურსდამთავრებულნი დიპლომთან ერთად წარმოადგენენ დანართს ჩაბარებული საგნების შესახებ, 2. **დახასიათება უმაღლეს სასწავლებლებში შესასვლელად,** რომელსაც აძლევენ პარტიული, კომკავშირული, პროფკავშირული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები, საწარმო-დაწესებულებების, ორგანიზაციების ხელმძღვანელები, კოლმეურნეობათა გამგეობები, ხოლო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების კურსდამთავრებულებს — სკოლის ხელმძღვანელი და საზოგადოებრივი ორგანიზაციები. საბჭოთა არმიიდან და სამხედრო-საზღვაო ფლოტიდან დემობილიზებულნი დახასიათებას წარმოადგენენ სამხედრო ნაწილის ხელმძღვანელობისაგან; 3. **ამონაწერი შრომის წიგნაკიდან** (მუშაობის სტაჟს მქონე პირთათვის), დამოწმებული საწარმოს ან დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ, კოლმეურნეთათვის — ამონაწერი კოლმეურნის წიგნაკიდან, დამოწმებული კოლმეურნეობის გამგეობის მიერ, რომელშიც ნაჩვენები უნდა იყოს უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელის მიერ გამომუშავებული შრომადღეების რაოდენობასთან ერთად დაწესებული შრომადღეების მინიმუმი კოლმეურნეობაში მუშაობის ყოველი კალენდარული წლისათვის; 4. **ავტობიოგრაფია;** 5. **სამედიცინო ცნობა** (ფორმა № 286); 6. **ოთხი ფოტოსურათი** (სურათი უქუდოდ, ზომა 3×4 სმ., დამოწმებული). 7. **ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან.**

უმაღლეს სასწავლებელში შემსვლელი პირადად წარადგენს: პასპორტს, სამხედრო ბილეთს (თადარიგის სამხედრო ვალდებული) ან მიწერის მოწმობას (გასაწვევი ასაკის პირი).

შენიშვნა: საღამოს სწავლების განყოფილებაზე მიიღებიან ის პირები, რომლებიც ცხოვრობენ და მუშაობენ ქ. ქუთაისში. ამასთან მათ აუცილებლად უნდა წარმოადგინონ ამონაწერი შრომის წიგნაკიდან.

განცხადებები მიიღება 31 ივლისამდე. ჩათვლით (გარდა კვირადღეებისა) 10 საათიდან 16 საათამდე. **კონსულტაციები საგამოცდო საგნებში მოეწყობა** 20 ივლისიდან. **მისაღები გამოცდები** 1-დან, 20 აგვისტომდე.

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება ინსტიტუტის მიმდებ კომისიაში (ქ. ქუთაისი, კიროვის ქუჩა № 55, ტელეფონი № 26-28).

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სახელმწიფო კომიტეტის

ფოთის ჰიდრომელიორაციული ტექნიკუმი

აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1965/66 სასწავლო წლისათვის პირველ და მესამე კურსზე. ტექნიკუმი აამზადებს:

1. **ტექნიკოსებს** სოფლის ჰიდროელექტროსადგურების მშენებლობისა და ექსპლოატაციისათვის, საირიგაციო და დამშრობ სისტემათა ძირითი და საპროექტო სამუშაოებისათვის, ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა და სატუმბო სადგურებისათვის (დღის განყოფილება).

2. **ტექნიკოს-მექანიკოსებს** ჰიდრომელიორაციულ სამუშაოთა მექანიზაციისათვის (დღის განყოფილება).

პირველ კურსზე ჩარიცხულთათვის სწავლების ხანგრძლივობა **სამი წელი და ექვსი თვე.** ტექნიკუმში მიიღებიან ორივე სქესის პირები 14 წლიდან 30 წლამდე ასაკისა. პირველ კურსზე მიიღებიან პირები, რომელთაც დამთავრებული აქვთ არასრული საშუალო სკოლის სრული კურსი, ასევე საშუალო სკოლის კურსდამთავრებულები შესაბამისი ცნობების საფუძველზე. მე-3 კურსზე, სადაც სწავლების ხანგრძლივობა 2 წელი და 6 თვეა, მიიღებიან საშუალო სკოლის კურსდამთავრებულები.

შემსვლელნი აბარებენ გამოცდებს შემდეგ საგნებში — ა) არასრული საშუალო სკოლის კურსდამთავრებულები: 1. მათემატიკაში (წერა და ზეპირი); 2. ქართულ ენაში — წერა (შინაარსი). ბ) საშუალო სკოლის კურსდამთავრებულები აბარებენ გამოცდებს საშუალო სკოლის პროგრამის მოცულობით შემდეგ საგნებში. 1. მათემატიკაში (წერა, ზეპირი), 2. ქართულ ენასა და ლიტერატურაში (წერა-თხზულება).

ტექნიკუმში მიღებისას უპირატესობით სარგებლობენ: ა) საწარმო-დაწესებულებების, საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების მიერ დადგენილი წესის საფუძველზე გამოგზავნილი პირები, ბ) საბჭოთა არმიიდან და სამხედრო-საზღვაო ფლოტიდან დემობილიზებულნი, თუ მათ იმსახურეს არანაკლებ ორი წლისა. სტაჟად ეთვლებათ სამხედრო სასწავლებელში ყოფნის დროც. გ) აქვთ პრაქტიკული მუშაობის სტაჟი არანაკლებ ორი წლისა.

განცხადებების მიღება წარმოებს:

1. **დღის განყოფილებაზე** (წარმოებისაგან მოწყვეტით) 1 აგვისტომდე. გამოცდები 10-დან 20 აგვისტომდე. 2. **საღამოს განყოფილებაზე** (წარმოებისაგან მოუწყვეტლივ) 20 ივლისამდე. გამოცდები 20-დან 31 ივლისამდე.

მეცადინეობა დაიწყება 1 სექტემბერს.

ტექნიკუმში შემსვლელ მუშაკებმა უნდა შემოიტანონ განცხადება დირექტორის სახელზე სპეციალობის ჩვენებით. განცხადებას უნდა დაერთოს შემდეგი საბუთები: 1. განათლების მოწმობა (დედანი). 2. ავტობიოგრაფია, 3. სამედიცინო ცნობა ფორმა № 286, 4. ოთხი ფოტოსურათი (უქუდოდ 3×4 სმ), 5. მუშაობის სტაჟის მქონე პირებმა დადასტურებული ამონაწერი შრომის ან საკოლმეურნეო წიგნაკიდან.

უნდა წარმოადგინონ პირადად: 1. პასპორტი ან დაბადების მოწმობა, 2. სამხედრო ვალდებულების მოწმობა, 3. სამხედრო ბილეთი, ხოლო წვევამდელებმა მიწერის მოწმობა.

ტექნიკუმში ჩარიცხული მოსწავლეები უზრუნველყოფილი იქნებიან საერთო საცხოვრებლით და სტიპენდიით საერთო წესის მიხედვით.

ტექნიკუმის მისამართი: ქ. ფოთი, კიროვის ქ. № 22.

საბჭოთა ვაჭრობის ბათუმის ტექნიკუმი

აცხადებს 1965/66 სასწავლო წლისათვის მიღებას შემდეგ სპეციალობებზე:

დღის სწავლების განყოფილება

I კურსი

1. საჭმლის მომზადების ტექნოლოგია, 2. საბუხალტრო აღრიცხვა ვაჭრობაში, 3. სასურსათო საქონელმცოდნეობა.

II კურსი

1. სასურსათო საქონელმცოდნეობა, 2. სამრეწველო საქონელმცოდნეობა.

დაუსწრებელი სწავლების განყოფილება

I კურსი

1. საჭმლის მომზადების ტექნოლოგია, 2. სამრეწველო საქონელმცოდნეობა. 3. სასურსათო საქონელმცოდნეობა.

III კურსი

1. სამრეწველო საქონელმცოდნეობა, 2. სასურსათო საქონელმცოდნეობა.

პირველ კურსზე ჩაირიცხებიან არასრული საშუალო სკოლის კურსდამთავრებულნი, რომლებიც ჩაბარებენ მისაღებ გამოცდებს შემდეგ საგნებში: 1. ქართულ ენაში (წერა, ზეპირი), 2. მათემატიკაში (წერა, ზეპირი).

მეორე და მესამე კურსზე ჩაირიცხებიან საშუალო სკოლის კურსდამთავრებულნი, რომლებიც ჩაბარებენ მისაღებ გამოცდებს შემდეგ საგნებში: 1. ქართულ ენასა და ლიტერატურაში (წერა, თხზულება), 2. მათემატიკაში (ზეპირი), 3. ქიმიაში (ზეპირი).

მისაღები გამოცდების შედეგად კონკურსგარეშე ჩაირიცხებიან: დიდი სამამულო ომის მონაწილენი, წარმოებიდან მოვლენებული პირები, რომლებსაც აქვთ ორი წლის პრაქტიკული მუშაობის სტაჟი, საბჭოთა არმიიდან და სამხედრო-საზღვაო ფლოტიდან დემობილიზებულნი.

განცხადებები მიიღება ტექნიკუმის დირექტორის სახელზე 1965 წლის 1 ივლისიდან 31 ივლისამდე 10 საათიდან 16 საათამდე.

განცხადებას უნდა დაერთოს შემდეგი საბუთები: 1. განათლების მოწმობა (ატესტატი), დედანი, 2. შრომის ან საკოლმეურნეო წიგნიდან ამონაწერი, დამოწმებული წარმოების ხელმძღვანელის ან კოლმეურნეობის გამგეობის მიერ, 3. ავტობიოგრაფია, 4. ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (ფორმა № 286). 5. სამი ფოტოსურათი (ზომით 3×4 სმ.). დაბადების მოწმობა, სამხედრო ბილეთი (სამხედრო ვალდებულთათვის) ან სამხედრო აღრიცხვის ბარათი (წვევამდელთათვის) წარმოდგენილ უნდა იქნას პირადად.

გამოცდები იწარმოებს 1-დან 10 აგვისტომდე (ქ. სოხუმში 10-დან 15 აგვისტომდე).

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება საბჭოთა ვაჭრობის ბათუმის ტექნიკუმში, ჯაფარიძის ქ. № 23.

თბილისის ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგიური სასწავლებელი

აცხადებს მიღებას 1965/66 სასწავლო წლისათვის შემდეგ სპეციალობებზე:

I. სკოლამდელი აღზრდის III კურსზე მიიღებიან საშუალო სკოლის კურსდამთავრებულები 30 წლის ასაკამდე. სწავლების ვადა 2 წელი. ამზადებს საბავშვო ბაღის აღმზრდელებს. მისაღები გამოცდები იწარმოებს: 1. ქართულ ენასა და ლიტერატურაში (წერა-ზეპირი); 2. სსრ კავშირის ისტორიაში.

II. სკოლამდელი აღზრდის I კურსზე მიიღებიან 8 კლასდამთავრებულები 30 წლის ასაკამდე. სწავლების ვადა 4 წელი. ამზადებს საბავშვო ბაღის აღმზრდელებს. მისაღები გამოცდები იწარმოებს შემდეგ საგნებში: 1. ქართულ ენასა და ლიტერატურაში (წერა-ზეპირი); 2. მათემატიკაში (ზეპირი).

მისაღები გამოცდების დაწყებამდე მოეწყობა მუსიკალური შემოწმება (სმენა, რიტმი, მეხსიერება), და ის პირნი, რომელთაც არ ექნებათ მუსიკალური მონაცემები, მისაღებ გამოცდებზე არ დაიშვებიან.

III. საგუნდო-სადირიჟორო სპეციალობის I კურსზე მიიღებიან 8 კლასდამთავრებულები მუსიკალური 7 კლასის განათლებით 30 წლის ასაკამდე. ამზადებს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის სიმღერისა და საბავშვო ბაღის მუსიკის მასწავლებლებს. სწავლების ვადა 4 წელი. მისაღები გამოცდები შემდეგ საგნებში: 1. ქართულ ენასა და ლიტერატურაში (წერა-ზეპირი), 2. მუსიკალური საგნები (ფორტეპიანო, სოლფეჯიო, შემოწმდება ვოკალური მონაცემები).

განცხადება მისაღებ გამოცდებზე დაშვების შესახებ შეტანილ უნდა იქნას დირექტორის სახელზე პირადად შემდეგი საბუთების დართვით: 1. განათლების ატესტატი (დედანი), 2. ჯანმრთელობის ცნობა (ფორმა № 286), 3. ავტობიოგრაფია, 4. ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან, 5. ოთხი ფოტოსურათი ზომით 3×4, 6. დაბადების მოწმობა (ასლი).

ის პირნი, რომელთაც აქვთ პრაქტიკული მუშაობის ორი და მეტი წლის სტაჟი, დამატებით წარადგენენ დახასიათება-რეკომენდაციას და შრომის წიგნაკის ასლს.

განცხადებების მიღება იწარმოებს 31 ივლისამდე. გამოცდები 2 აგვისტოდან.

დაწვრილებითი ცნობების გაგება შეიძლება სასწავლებლის კანცელარიაში.

სასწავლებლის მისამართი: თბილისი, უშ. ჩხეიძის ქ. № 13, ტელ. 5-45-23.

საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს

თბილისის მეორე სამედიცინო სასწავლებელი

აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1965/66 სასწავლო წლისათვის ქართული სექტორის I და II კურსზე.

სასწავლებელში მიიღებიან მოქალაქენი 30 წლის ასაკამდე.

I კურსზე მედ-დის სპეციალობით მიიღებიან არასრული საშუალო სკოლის კურსდამთავრებულები, რომლებიც აბარებენ მისაღებ გამოცდებს შემდეგ საგნებში: 1. ქართულ ენაში (წერა); 2. ქართულ ენასა და ლიტერატურაში (ზეპირი); 3. მათემატიკაში (ზეპირი).

II კურსზე სამავშვო დაწესებულებების მედ-დის სპეციალობით მიიღებიან საშუალო სკოლის კურსდამთავრებულები, რომლებიც აბარებენ მისაღებ გამოცდებს შემდეგ საგნებში: 1. ქართულ ენასა და ლიტერატურაში (წერა); 2. ქიმიაში (ზეპირი); 3. სსრკ ისტორიაში (ზეპირი).

სწავლის ხანგრძლივობა I კურსზე ორი წელი და 10 თვე, ხოლო II კურსზე — ორი წელი.

სასწავლებელში შემომსვლელს პირადად მეშოკქვს განცხადება დირექტორის სახელზე შემდეგი საბუთების დართვით: 1. განათლების მოწმობა (დედანი); 2. ავტობიოგრაფია; 3. სამი ფოტოსურათი (გადაღებული უქუდოდ, ზომით 3×4 სმ); 4. ცნობა ჯანმრთელობის შესახებ (ფორმა № 286, გაკეთებული საცხოვრებელი ადგილის მიხედვით); 5. პირადად წარმოდგენილ უნდა იქნას დაბადების მოწმობა ან პასპორტი, სამხედრო ბილეთი (სამხედრო ვალდებულთათვის) და მიწერის მოწმობა (წვევამდელთათვის); 6. ამონაწერი შრომის წიგნაკიდან (იმ პირთათვის, რომლებსაც პრაქტიკული მუშაობის სულ მცირე ორი წლის სტაჟი აქვთ), შემოწმებული დაწესებულების მიერ, კოლმეურნეობის წევრებისათვის — ამონაწერი საკოლმეურნეო წიგნაკიდან, შემოწმებული კოლმეურნეობის გამგეობის მიერ, სადაც აღნიშნული იქნება კოლმეურნეობისათვის დადგენილი შრომადღეების მინიმუმი და შესრულება ცალკეული კალენდარული წლების მიხედვით. სასწავლებელში ჩარიცხული სტაჟის მქონე პირები ვალდებული არიან პირველ სექტემბრისათვის წარმოადგინონ სტაჟის დამადასტურებელი საბუთების დედანი, წინააღმდეგ შემთხვევაში გარიცხული იქნებიან სასწავლებლიდან.

მისაღები გამოცდების კონკურსის შეჯამებისას მხედველობაში იქნება მიღებული როგორც მისაღები გამოცდების ნიშნები, ისე ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის დამთავრების დოკუმენტებში ნაჩვენები ნიშნები.

სასწავლებელში ჩარიცხული მოსწავლეები არსებული წესის მიხედვით უზრუნველყოფილ იქნებიან სტიპენდიით.

განცხადებები მიიღება 31 ივლისამდე 2-დან 4 საათამდე. მისაღები გამოცდები 1-დან 20 აგვისტომდე. სწავლა დაიწყება პირველ სექტემბერს.

სასწავლებლის მისამართი: ლესელიძის ქ. № 25. ტელეფონი 9-54-85.

ქიმიურ-ტექნიკისა და მელიორაციის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი

აცხადებს ასპირანტურაში მიღებას 1965 წლისათვის შემდეგ სპეციალობებზე:

წარმოებისაგან მოწყვეტით: 1. ჰიდროტექნიკური მშენებლობა და ნაგებობანი (ორი); 2. მელიორაცია და სარწყავი მიწათმოქმედება (ერთი).

წარმოებისაგან მოუწყვეტლივ: 1. ჰიდროტექნიკური მშენებლობა და ნაგებობანი (ორი), მელიორაცია და სარწყავი მიწათმოქმედება (ერთი).

ასპირანტურაში წარმოებისაგან მოწყვეტით მიიღებიან საბჭოთა კავშირის მოქალაქენი არაუმეტეს 35 წლის ასაკისა, რომლებსაც აქვთ დამთავრებული უმაღლესი სასწავლებელი და საწარმოო სტაჟი არჩეული სპეციალობის მიხედვით არანაკლებ ორი წლისა.

ასპირანტურაში შემსვლელნი აბარებენ საკონკურსო გამოცდებს უმაღლესი სასწავლებლის პროგრამის მოცულობით შემდეგ დისციპლინებში: სპეციალობის მიხედვით, სკკპ ისტორიაში და ერთ-ერთ უცხო ენაში.

განცხადებები და ასპირანტურაში მიღების წესებით გათვალისწინებული საბუთები შეტანილ უნდა იქნას ინსტიტუტის დირექტორის სახელზე.

განცხადებები მიიღება მიმდინარე წლის 10 სექტემბრამდე. **მისაღები გამოცდები** მოეწყობა მიმდინარე წლის 20 სექტემბრიდან 30 სექტემბრამდე.

ცნობების მიღება შეიძლება ინსტიტუტის სწავლულ მდივანთან, ტელეფონი 2-32-56.

მისამართი: თბილისი, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, № 60.

სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის მარტყოფის ტექნიკუმი

აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1965/66 სასწავლო წლისათვის.

ტექნიკუმში მიიღებიან 30 წლის ასაკამდე ორივე სქესის მოქალაქენი.

ტექნიკუმს აქვს ორი პროფილი — მექანიზაციისა და ელექტროფიკაციისა.

ტექნიკუმი ამზადებს სოფლის მეურნეობის ტექნიკოს-მექანიკოსებს და ელექტრომექანიკოსებს.

მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის პროფილის პირველ კურსზე ჩაირიცხებიან არასრული საშუალო სკოლის კურსდამთავრებულნი, აგრეთვე მე-8, მე-9 და მე-10 კლასდამთავრებულნი (სწავლის ხანგრძლივობა 3 წელი და 4 თვეა), რომლებიც მისაღებ გამოცდებს ჩაბარებენ შემდეგ საგნებში: 1. ქართულ ენასა და ლიტერატურაში (წერა-ზეპირი); 2. მათემატიკაში (წერა და ზეპირი).

მექანიზაციის პროფილის მესამე კურსზე მიიღებიან საშუალო სკოლის კურსდამთავრებულნი (სწავლის ხანგრძლივობა 2 წელი და 6 თვეა), რომლებიც გამოცდებს ჩაბარებენ შემდეგ საგნებში: 1. ქართულ ენასა და ლიტერატურაში (წერა-თხზულება); 2. მათემატიკა (წერა და ზეპირი).

უგამოცდოდ ჩაირიცხებიან საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების ოფიცრები და ზემსახური სამხედრო მოსამსახურეები, სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის ჯარების და ორგანოების მოსამსახურეები, რომლებიც განთავისუფლებულნი არიან სამხედრო სამსახურიდან 1963 წლის 1 იანვრიდან შტატის შემცირების ან ჯანმრთელობის გამო.

კონკურს გარეშე ჩაირიცხებიან ის პირნი, რომლებსაც აქვთ პრაქტიკული მუშაობის სტაჟი არანაკლებ ორი წლისა და სასწავლებლად გამოგზავნებიან კოლმეურნეობებისა ან საბჭოთა მეურნეობის მიერ, აგრეთვე სამხედრო სამსახურიდან და სამხედრო-საზღვაო ფლოტიდან დემობილიზებულნი. ყველა დანარჩენნი კი ჩაირიცხებიან კონკურსის მიხედვით.

განცხადება შემოტანილ უნდა იქნას ტექნიკუმის დირექტორის სახელზე (პროფილის ჩვენებით), შემდეგი საბუთების დართვით: 1. დოკუმენტი არასრული საშუალო ან საშუალო სკოლის დამთავრების, ან ცნობა საშუალო სკოლის 9, 10, 11 კლასში გადასვლის შესახებ; 2. ავტობიოგრაფია; 3. სამედიცინო ცნობა (ფორმა № 286); 4. სამი ცალი ფოტოსურათი უქუდოდ (3×4 სმ ზომისა); 5. ამონაწერი შრომის წიგნაკიდან, დამოწმებული წარმოების ხელმძღვანელის მიერ, ხოლო კოლმეურნეთათვის ამონაწერი კოლმეურნეობის წიგნაკიდან, დამოწმებული კოლმეურნეობის გამგეობის მიერ (იმ პირთათვის, ვისაც აქვს საწარმოო მუშაობის სტაჟი არანაკლებ ორი წლისა). კოლმეურნეობებიდან და საბჭოთა მეურნეობებიდან ან სხვა საწარმოებიდან გამგზავნილებმა დამატებით უნდა წარმოადგინონ გამომგზავნელი ორგანიზაციის მიმართვა ფორმა № 1-ის მიხედვით; 6. პირადად წარმოდგენილ უნდა იქნას დაბადების მოწმობა ან პასპორტი, სამხედრო ბილეთი (სამხედრო ვალდებულთათვის) ან მიწერის მოწმობა (წვევამდელთათვის).

განცხადებები მიიღება 31 ივლისამდე.

მისაღები გამოცდები 1-დან 20 აგვისტომდე. ჩარიცხვა 21-დან 25-აგვისტომდე. **მეცადინეობა იწყება 1 სექტემბერს.**

ტექნიკუმში ჩარიცხულნი უზრუნველყოფილ იქნებიან ბინით საერთო საცხოვრებელში და დაენიშნებათ სტიპენდია საერთო წესით.

ყოველგვარი ცნობების მიღება ტექნიკუმში ჩარიცხვის შესახებ შეიძლება ყოველდღე 9-დან 17 საათამდე, გარდა უქმედღეებისა.

მისამართი: მარტყოფი, მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის ტექნიკუმი.

თბილისის მე-4 სამედიცინო სასწავლებელი

აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1965/66 სასწავლო წლისათვის I კურსზე

სასწავლებელში მიიღებიან მოქალაქენი 30 წლის ასაკამდე. **სასწავლებელი** ამზადებს სრული საშუალო სამედიცინო განათლების მქონე კადრებს, სანიტარული ფერშლის სპეციალობით.

პირველ კურსზე მიიღებიან არასრული საშუალო სკოლის კურსდამთავრებულნი, რომლებიც მისაღებ გამოცდებს ჩაბარებენ შემდეგ საგნებში: 1. **ქართულ ენაში** (წერა), 2. **ქართულ ენასა და ლიტერატურაში** (ზეპირი), 3. **მათემატიკაში** (ზეპირი).

სწავლის ხანგრძლივობა 1-ლ კურსზე 3 წელი და 6 თვე.

სასწავლებელში შემსვლელს დირექტორის სახელზე პირადად შეაქვს განცხადება შემდეგი საბუთების დართვით: 1. განათლების მოწმობა (დედანი), 2. ავტობიოგრაფია, 3. სამი ფოტოსურათი (გადაღებული უქუდოდ, ზომით 3×4 სმ), 4. ცნობა ჯანმრთელობის შესახებ ფორმა № 286, გაკეთებული საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, 5. პირადად წარმოდგენილ უნდა იქნას დაბადების მოწმობა ან პასპორტი, სამხედრო ბილეთი (სამხედრო ვალდებულთათვის) ან სამხედრო აღრიცხვის ბარათი (წვევამდელთათვის) წარმოდგენილ უნდა იქნას პირადად.

გამოცდები იწარმოებს 1-დან 10 აგვისტომდე (ქ. სოხუმში 10-დან 15 აგვისტომდე).

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება საბჭოთა ვაჭრობის ბათუმის ტექნიკუმში, ჯაფარიძის ქ. № 23.

საქართველოს ალკა ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს

პიონერმუშაკთა რესპუბლიკური სკოლა

აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1965/66 სასწავლო წლისათვის.

სკოლაში მიიღებიან საშუალო განათლების მქონე კომკავშირელები 17 წლიდან 22 წლამდე.

სკოლაში შემსვლელნი აბარებენ გამოცდებს შემდეგ საგნებში: 1. ქართულ წერაში (ქართულ სექტორზე), რუსულ წერაში (რუსულ სექტორზე), 2. გასაუბრება, 3. მუსიკალური მონაცემების შემოწმება.

სკოლაში შემსვლელს პირადად შეაქვს განცხადება სკოლის დირექტორის სახელზე შემდეგი საბუთების დართვით: 1. საშუალო სკოლის დამთავრების მოწმობა (დედანი), 2. ავტობიოგრაფია, 3. პასპორტი, 4. კომკავშირული ბილეთი უნდა იქონიოს ხელზე, 5. ცნობა ჯანმრთელობის შესახებ, 6. ორი ფოტოსურათი, 7. განათლების განყოფილებისა და პიონერთა რაიონული (საქალაქო) საბჭოს რეკომენდაცია.

სკოლაში სწავლის ხანგრძლივობა ერთი წელია.

მეცადინეობა წარმოებს ქართულ და რუსულ ენებზე. სკოლაში ჩარიცხულნი უზრუნველყოფილ იქნებიან სტიპენდიით და საერთო საცხოვრებლით.

საბუთები მიიღება 1 აგვისტოდან 22 აგვისტომდე.

მისაღები გამოცდები იწარმოებს 23 აგვისტოდან 26 აგვისტომდე.

მისამართი: თბილისი, კალინინის ქ. № 118, ტელეფონი 5-22-71.

თბილისის საბიბლიოთეკო სასწავლებელი

აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1965/66 სასწავლო წლისათვის ქართულ სექტორზე.

სასწავლებელში მიიღებიან არასრული საშუალო სკოლის კურსდამთავრებული ორივე სქესის მოქალაქენი 30 წლამდე ასაკისა სამშობლოსაგან მოწყვეტით. მოსწავლეები, რომლებიც გამოსული არიან მე-9 ან მე-10 კლასებიდან, მიიღებიან საერთო წესით როგორც არასრული საშუალო სკოლის კურსდამთავრებულნი.

სასწავლებელში სწავლის ვადა სამი წელია. კურსდამთავრებულებს სასწავლებელი აძლევს საშუალო სპეციალურ-საბიბლიოთეკო განათლებას და უმაღლეს სასწავლებელში შესვლის უფლებას.

მისაღებ გამოცდებზე დაშვებული მოქალაქენი აბარებენ გამოცდებს არასრული საშუალო სკოლის პროგრამის მოცულობით შემდეგ საგნებში: 1. ქართულ ენასა და ლიტერატურაში (წერა და ზეპირი), 2. მათემატიკაში (ზეპირი).

განცხადება შემოტანილ უნდა იქნას დირექტორის სახელზე პირადად ან ფოსტით. განცხადებას უნდა დაერთოს: 1) არასრული საშუალო სკოლის დამთავრების მოწმობა (დედანი), 2) დაბადების მოწმობა (პირი, დამოწმებული ნოტარიუსის მიერ), 3) ავტობიოგრაფია, 4) სამედიცინო ცნობა (ფორმა № 286), 5. სამი ცალი ფოტოსურათი (ზომით 3×4), 6) სამხედროვალდებულთათვის სამხედრო ბილეთი ან ცნობა სამხედრო სამსახურთან დამოკიდებულების შესახებ, 7) ამონაწერი შრომის წიგნაკიდან, წარმოების ან დაწესებულების ხელმძღვანელის მიერ შემოწმებული, 8) დახასიათება სამუშაო ადგილიდან, ხელმოწერილი წარმოების ან საზოგადოებრივი ორგანიზაციის ხელმძღვანელის მიერ.

სასწავლებელში ჩარიცხულნი უზრუნველყოფილ იქნებიან სახელმწიფო სტიპენდიით საერთო წესით.

განცხადებები მიიღება ა. წ. 10 აგვისტომდე, **მისაღები გამოცდები** იწარმოებს 10-დან 20 აგვისტომდე. **სწავლა დაიწყება** 1 სექტემბერს. დაწვრილებითი ცნობების მიღება სასწავლებლის კანცელარიაში ყოველდღე გარდა კვირადღისა, დღის 3-დან საღამოს 8 საათამდე.

მისამართი: ქ. თბილისი, ჩაიკოვსკის ქ. № 9, ტელ. №9-82-10.

თეატრები

14 ივლისი

რუსთაველის სახელობის დიდი დრამაზი — მოეგონოთ ჩვენი ახალგაზრდობა (მე-9 და გაცდენილი ამონეკმეტები), **გრიბოედოვის სახელობის** — 104 გვერდი სიყვარულზე (მე-8 ამონ. მე-10 წარმოდგენა), **ფილარმონიის საზაფხულო** (გრიბოედოვის სახელობის თეატრის წარმოდგენა) — ანა ფრანკის დღიური (საღ. 8 ს. და 30 წ.).

რადიო

14 ივლისი

პირველი პროგრამით

09.15 — ქართული ხალხური სიმღერები, 10.15 — გრიგოლ აბაშიძის ლექსები, 10.35 — მეტნერი. სონატა — ზღაპარი ფორტეპიანოსათვის, რომანსები, 11.15 — ნაწყვეტები დუნაევსკის ოპერეტებიდან, 12.10 — გადაცემა ახალგაზრდობისათვის — „მოგითხრობთ თქვენს თანატოლებზე", 12.25 — მ. მშველიძე. სიმფონიური პოემა „მანდია", 13.10 — ნაწყვეტები მონიუშკოს ოპერა „გალკადან", 13.40 — კუბური სიმღერები, 14.00 — ო. გორდელის, ვ. მეიერნის, გ. ჩიტჩიანისა და რ. გაჯიევის სიმფონიური მუსიკა (მოსკოვი), 17.15 — ი. შუშანიას კონცერტი, 17.35 — გადაცემა მოსწავლეთათვის — „წიგნის თაროზე", 18.10 — ე. ჯაბადარი. ქართული რაპსოდია ფორტეპიანოსა და ორკესტრისათვის, 18.45 — „მღერის ლარისა მანდრუსი", 19.30 — საუბარი — „დიდი ქიმია ადამიანის სამსახურში", 19.45 — მელიქ-მურადიანი. საბალეტო სიუიტა „წითელქუდა", 20.15 — სიმღერები მერონგური ქალთა ანსამბლის შესრულებით, 20.30 — „თბილისი, ბაქო, ერევანი", 21.00 — „ძილისპირული", 21.15 — კონცერტი-საუბარი — „სვიატოსლავ რიხტერი", 22.00 — ნაწყვეტი მ. მრევლიშვილის მოთხრობიდან „ხარატაანთ კერა", 23.30 — მექსიკური სიმღერები.

ჩუ ვიცოდეთ, რა ეოვისეიროთ

ტელევიზია

14 ივლისი

17.55 — გადაცემათა პროგრამა, 18.00 — მოსწავლეთათვის — მხატვრული ფილმი, 19.20 — გადაცემა „უკეთესი საწარმოო მაჩვენებლებისათვის", 19.35 — „ჩვენი სატელევიზიო აფიშა", 20.20 — კინონარკვევი, 20.40 — „მამაკაცთა სპორტი". 20.45 — ვილაპარაკოთ კინოკომედიებზე, 21.25 — მხატვრული ფილმი „სამხრეთის კვანძი", 22.40 — კვირის ამბები რუსულ ენაზე.

რედაქტორი

დ. მჰედლიშვილი.

კომუნისტი | თბილისი, ლენინის 14. რედაქტორის მოადგილეების — 9-93-03, 9-03-09, პ/მგ მდივნის — 9-72-80, სამდივნოსი — 9-66-10, განყოფილებებისა: პარტიული — 9-87-61, პროპაგანდის — 3-22-93, მრეწველობის — 3-20-34, სოფლის მეურნეობის — 9-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 3-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 3-27-58, ლიტერატურის